# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 აპრილი 2002 №62 (1584) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პრეზიდენტობის ერთი კანდიდატიც

### რევაზ არველაძე მერაბ ჟორდანიასთვის თუ ჟორდანია არველაძისთვის?

დავით პეტრიაშვილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის თავისი კანდიდატურა ოფიციალურად ჯერ არ წამოუყენებია, მაგრამ საარჩევნო რბოლა და კამპანია რომ უკვე დაიწყო, წყალი არ გაუვა.

ალარც ის მიიჩნევა დაფარულად, რომ უეფას ბავშვთა დამოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეს და სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და ტრანსფერების კომიტეტების ყოფილ თავკაცს დავით პეტრიაშვილს ზურგს ბადრი პატარკაციშვილი უმაგრებს და მის მხარდამჭერთა შორის ქვეყნის მთავრობის მაღალჩინოსნებსაც ასახელებენ.

უქმად არც სფფ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ატარებს დროს. მას ჯერ არ ჰყავს პატარკაციშვილის დონის ფინანსური მხარდამჭერი და სამთავრობო პორტფელიანთა ლობი, თუმცა ერთი საიმედო მოკავშირე გაიჩინა — რევაზ არველაძე.

თბილისის „დინამოს" ექსპრეზიდენტი, რომლის ამ კლუბიდან ყოველგვარი ეთიკეტის გარეშე გაგდება „დინამოში" პატარკაციშვილისა და მისი ხალხის მოსვლას უკავშირდება, მერაბ ჟორდანიას გუნდშია. თუმც ჟორდანია-არველაძის ალიანსმა შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ რევაზ არველაძე სულაც სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგეს და ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მერაბ ჟორდანია უარს იტყვის სფფ-ის პრეზიდენტობაზე.

თუმც, ჯერ ეს გადაწყვეტილი არაა და რევაზ არველაძეც გარკვეულ დრომდე დუმილს ამჯობინებს.

## მარქარიანის მოტანილი სავიოლამ წაიღო

### ბარსელონა — რეალი — ბაიერნი: ელ კლასიკო თუ ევროკლასიკო?

CHAMPIONS LEAGUE

ცნობილი გამოთქმა, ფეხბურთი ოთხმოცდაათი წუთი გრძელდებაო, „ბარსელონამ" და „ლევერკუზენმა" გუშინ შეასწორეს — ფეხბურთი ასოთხმოცი წუთი გრძელდება ანუ პირველი მატჩის მინიმალური ანგარიშით მოგება არაფერს ნიშნავს, როცა წინ საპასუხო შეხვედრაა.

სერხიო მარქარიანი „კამპ ნოუზე" უგოლო ფრეს ოცნებობდა, მაგრამ მის „პანათინაიკოსს", დასაწყისშივე რომ გაიტანა, კატალონიელებმა სამი შეუგდეს. და ეს მაშინ, როცა სამზე ნაკლების გატანა „ბარსელონასთვის" დამარცხების ტოლფასი იყო. ხოლო ნაქები „ლივერპული", რომლისთვისაც თუნდაც ერთის გატანა თითქმის მთელი ევროპისთვის სანატრელია, ლევერკუზენელებმა ოთხი გოლით გაისტუმრეს და აწი აღარ აქვს მნიშვნელობა, თავად ორი რომ გაუშვეს.

„ბარსელონამ" კი „რეალს" ხელთათმანიც ესროლა — დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბარსას" ნახევარფინალური მეტოქის ვინაობა გაირკვევა. „რეალი"? ვინ იცის... ისე, ნაკლები დაპირისპირება არც „ბარსელონა" — „ბაიერნი" უნდა გამოდგეს.



REUTERS

ხავიერ სავიოლას გოლმა „ბარსელონა" ნახევარფინალში გაიყვანა



REUTERS

„ლევერკუზენი" — „ლივერპული" 4:2. ბრაზილიელმა ლუსიომ (უკან) ემილ ჰესკის არ გაატანინა, თავად კი სანახევარფინალო გაიტანა

# ჩემპიონთა ლიგა
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

**ლევერკუზენი** (გერმანია) 4:2 **ლივერპული** (ინგლისი) (0:1)

1:0 ბალაკი (16), 1:1 ჰიუპია (42), 2:1 ბალაკი (63), 3:1 ბერბატოვი (68), 3:2 ლიტმანენი (79), 4:2 ლუსიო (84)

ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი (ბერბატოვი 46), ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი, ბალაკი, ბაშტურქი, ზე რობერტო, კირსტენი (ნოივილე 46), ბრდარიჩი (ვრანიეში 70)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

ლივერპული: დუდეკი, რიისე, ჰიპია, ანრი, კარაგერი, ქსავიერი (ბერგერი 74), მერფი, ჰამანი (სმიცერი 61), ჯერარდი, ჰესკი (ლიტმანენი 41), ოუენი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილებები: ნოვოტნი, რიისე, ანრი, ქსავიერი, ზე რობერტო

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

22 500 მაყურებელი

**ბარსელონა** (ესპანეთი) 3:1 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) (0:1)

0:1 კონსტანტინუ (8), 1:1, 2:1 ლუის ენრიკე (23, 50), 3:1 საფიოლა (61)

ბარსელონა: ბონანო (რეინა 84), პუიოლი, დე ბური, აბელარდო, კოკუ (კლუივერტი 45), ხავი, ლუის ენრიკე, კოკუ, რივალდო, ოვერმარსი (გაბრი 76), საფიოლა

მწვრთნელი: კარლეს რექსაჩი

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, სარიჩი, კირიაკოსი, ჰენრიქსენი, გუმასი, ფისასი, კარაგუნისი (ნიკოლაისენი 45), ბასინასი, კოლკა (ვლაოვიჩი 76), ლიბეროპულოსი (ოლისადებე 46), კონსტანტინუ

მწვრთნელი: სერხიო მარკარიანი

გაფრთხილებები: პუიოლი, კოლკა, ხავი, სარიჩი, რეინა

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

90 000 მაყურებელი



REUTERS

ბარსელონა — პანათინაიკოსი. რივალდომ ბერძნებს რამდენჯერმე ლონივრად მოუქნია

# ბურიაკმა საქართველოსთვის შევჩენკოს დაუძახა

**17 აპრილს** კიევში, „დინამოს" 25-ათასიან სტადიონზე, უკრაინა — საქართველოს ამხანაგური მატჩი რომ გაიმართება, უკვე იცით. გუშინ ამ შეხვედრის მსაჯთა ბრიგადაც გაგაცანით. ახლა კი იმას მოგახსენებთ, რომ უკრაინის ნაკრების თავკაცმა ლეონიდ ბურიაკმა საამხანაგოდ ათი ლეგიონერი გამოიძახა. ამ არასრულ შემადგენლობას კი იქაური ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ კიდევ რვა ფეხბურთელი შეემატება და სწორედ ისინი მოემზადებიან ქართველებთან სათამაშოდ. ლეონიდ ბურიაკი ფეხბურთელებს მატჩამდე ორი დღით ადრე შეკრებს.

უკრაინელთა თავკაცი იქაურმა პრესამ ბოლო ორ ამხანაგურ მატჩში დამარცხების გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და ბურიაკისთვისაც ქართველთა დამარცხება ერთობ საშური საქმეა. ამას მის მიერ შერჩეულ ლეგიონერთა სიაც ადასტურებს: *ანდრეი შევჩენკო („მილანი", იტალია), ვიქტორ სკრიპნიკი („ვერდერი", გერმანია), იური მაქსიმოვი („ვალდჰოფი", გერმანია), ოლეგ ლუჟნი („არსენალი", ინგლისი), სერგეი რებროვი („ტოტენჰემი", ინგლისი), სერგეი სკაჩენკო („მეცი", საფრანგეთი), დმიტრი პარფიონოვი („სპარტაკი", რუსეთი), მაქსიმ ლევიცკი („სპარტაკი", რუსეთი), სერგეი კორმილცევი („ტორპედო", რუსეთი), სერგეი ნაგორნიაკი („შანდუნი", ჩინეთი).*

აქვე გეტყვით, რომ უკრაინის ჩემპიონატის მეთვრამეტე ტური 13 აპრილს გაიმართება და ლეონიდ ბურიაკიც ამის შემდეგ გამოაცხადებს სრულ შემადგენლობას.

**კახა ზალამბერიძე**

# ხმახუთა ვეტერანებმა პრეზიდენტი არჩევნებამდე აირჩიეს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ყრილობისთვის, რომელიც 24 აგვისტოს უნდა გაიმართოს, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა გუშინწინ თავის წევრებს ის ხუთი მანდატი დაუნაწილა, რაც ფედერაციისგანვე ერგო.

სხდომაზე, რომელსაც კავშირის წევრთაგან თითქმის ყველა დაესწრო, დიდი დავა-კამათი არ ყოფილა. ვეტერანებმა ჯერ ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას კანდიდატურას მისცეს რეკომენდაცია მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭის საყრელად, შემდეგ კი ხუთი თაობის ხუთ ფეხბურთელს ნდობა გამოუცხადეს და თავიანთი არჩევანის ყრილობაზე დაფიქსირება სთხოვეს.

ვლადიმერ ელოშვილი, მიხეილ ჯოჯუა, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი და რევაზ არველაძე — აი, ისინი, ვისაც ვეტერანთაგან ყრილობაზე ხმის უფლება ექნება.

და რაკი მერაბ ჟორდანიას კანდიდატურას რეკომენდაცია სწორედ ვეტერანებმა მისცეს, მათი ხუთი ხმა ვისიც უნდა იყოს, ამას რა დაფიქრება სჭირდება.

**კობა ინასარიძე**



REUTERS

ემანუელ ოლისადებესთან შეჯახების მერე „ბარსელონას" მეკარე რობერტო ბონანო მოედნიდან ავტოსაკაცით გაიყვანეს





REUTERS

ლევერკუზენი — ლივერპული. ულფ კირსტენმა და ჯეიმი კარაგერმა ფეხები გადააჯვარედინეს

## ინგლისი

**მეორე დივიზიონი — გადადებული მატჩები**

კემბრიჯი 1:2 სუინდონი

ჰადერსფილდი 2:2 კარდიფი

**მესამე დივიზიონი — გადადებული მატჩები**

მენსფილდი 2:1 ჩელტენემი

როჩდეილი 3:2 ჰალი

იორკი 0:0 კარლაილი

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი — გადადებული მატჩი**

მეცი 2:3 სედანი

**მეორე დივიზიონი — გადადებული მატჩი**

ნიმი 1:3 სტრასბური

## შოტლანდია

**მეორე დივიზიონი — გადადებული მატჩი**

მორტონი 1:4 ფორფარი

**მესამე დივიზიონი — გადადებული მატჩი**

ისტ სტირლინგი 1:0 პიტერჰედი

## პოლონეთი

**თასის ნახევარფინალი — საპასუხო მატჩი**

ამიცა 3:0 რუხი

## ავსტრია

**თასის მეოთხედფინალი**

უნტერზიბენბრუნი 2:2 (5:6 პენ) გრაცერი

ბად ბლაიბერგი 2:2 (2:0 პენ) კერნტნენი

# თითო ქულა



ლუის საჰამ „ნიუკასლს“ ორი ქულა აწაპნა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXIV ტური

**ნიუკასლი 1:1 ფულემი**

1:0 დაიერი (21), 1:1 საჰა (76)
ნიუკასლი: გივენი, ელიოტი, ობრაიენი (დაბიზასი 90), ჰიუზი, დისტინი, სპიდი, სოლანო, დაიერი, რობერი, კორტი (ჯენასი 68), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, კოლინზი, ლეგვინსკი, დევისი, მალბრანკი, მარლე, საჰა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: რობერი
მსაჯი: ური
50 017 მაყურებელი

ლუის საჰას პოზიციურმა ალღომ მეტად საჭირო ქულა მოუპოვა ნიუკასლში სტუმრად მყოფ „ფულემს“. შეხვედრა 1:1 დასრულდა. ლონდონელთა ფრანგ თავდამსხმელს შემთხვევით მოხვდა თანაგუნდელ შონ დევისის დარტყმული ბურთი და კარში შევარდა. ეს იყო 77-ე წუთზე მასპინძელთა კართან ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ.

„ნიუკასლი“ კი 21-ე წუთიდან იგებდა — კირონ დაიერმა მეტოქის მცველთა დაბნეულობა გამოიყენა და შორეულ კუთხეში გაუშვა ბურთი.

მეოთხე ადგილზე დამკვიდრებულ ნიუკასლელებს სამი ქულა იმისთვისაც ესაჭიროებოდათ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური სათუოდ არ გაიხადონ, ალან შირერს კი თავისი პატარა ამოცანაც ჰქონდა, პირადი პრემიერლიგური ანგარიში ორას გოლამდე უნდა აეყვანა.

თუმცა:

„რეკორდი არაფერს ნიშნავს. ეს უფრო გაზეთებს აინტერესებთ. მე გოლი კი არა, სამი ქულა უფრო გამეხარდებოდა“, თქვა შირერმა.

„ნიუკასლმა“ კი მაინც ვერ მოიგო. ამ მძიმე, ხისტ თამაშში „ფულემმა“ თავი დადო და ქულაც მოითვალა. ჟან ტიგანას გუნდს ბოლო ცხრა თამაშიდან შვიდი წაეგო და ამ ფრეს მიუხედავად გასავარდნთა სამეულის შორიახლოს ტრიალებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 33 | 21 | 9 | 3 | 68:33 | 72 |
| მანჩესტერი | 34 | 22 | 4 | 8 | 83:44 | 70 |
| ლივერპული | 33 | 20 | 8 | 5 | 55:26 | 68 |
| ნიუკასლი | 33 | 18 | 7 | 8 | 62:44 | 61 |
| ჩელსი | 34 | 16 | 12 | 6 | 63:32 | 60 |
| ლიდსი | 34 | 15 | 12 | 7 | 50:36 | 57 |
| ვესტ ჰემი | 33 | 13 | 7 | 13 | 41:50 | 46 |
| ტოტენჰემი | 34 | 13 | 6 | 15 | 45:49 | 45 |
| მიდლსბრო | 34 | 12 | 9 | 13 | 34:40 | 45 |
| ასტონ ვილა | 34 | 10 | 13 | 11 | 39:42 | 43 |
| საუთჰემპტონი | 34 | 11 | 8 | 15 | 41:49 | 41 |
| ჩარლტონი | 34 | 10 | 11 | 13 | 35:43 | 41 |
| ევერტონი | 34 | 10 | 9 | 15 | 38:49 | 39 |
| ბოლტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 42:54 | 39 |
| სანდერლენდი | 34 | 10 | 8 | 16 | 26:44 | 38 |
| ფულემი | 34 | 8 | 13 | 13 | 32:41 | 37 |
| ბლექბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 42:43 | 35 |
| იფსვიჩი | 34 | 8 | 9 | 17 | 40:56 | 33 |
| დერბი | 34 | 8 | 5 | 21 | 30:56 | 29 |
| ლესტერი | 34 | 4 | 10 | 20 | 24:59 | 22 |

# ბოკა მოიწევს



ძმადაბნეული რომან რიკელმე (შუაში) სანლორენსოელებს ძმურად გაუყარა

## არგენტინა

### კლაუსურა

30-12 ტური: ბოკა ხუნიორსი — უნიონი 3:0; ხიმნასია ლა პლატა — რასინგი 2:3; ნიუელს ოლდ ბოიზი — არგენტინოს ხუნიორსი 2:1; ბელგრანო — ლანუსი 1:0; სან ლორენსო — რივერ პლეიტი 0:0; კოლონი — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:1; ბანფილდი — ურაკანი 0:0; ინდეპენდიენტე — როსარიო სენტრალი 1:4; ველეს სარსფილდი — ტალერესი 2:0

კლაუსურას უხეიროდ დამწყები „ბოკა ხუნიორსი“ თორმეტი ტურის თავზე უკვე მეორე ადგილზეა და სამი ქულითღა ჩამორჩება მარადიულ მეტოქეს, „რივერ პლეიტს“, რომელმაც კვლავ ფრედ დაასრულა თავისი შეხვედრა.

„ბოკამ“ ბოლო ადგილზე მყოფ „უნიონს“ 3:0 მოუგო. თითო გოლი პირველ ტაიმშივე გაიტანეს მარსელო დელგადომ და ექტორ ბრაკამონტემ, რომელიც ამ კლაუსურაში ხუთჯერ მოხვდა სასტარტოში და ამ ხუთ შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა.

უნიონელებს მესამე რომან რიკელმემ შეუგდო, რომელმაც ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ წინა კვირაში უფრო დიდი პრობლემის მოგვარება მოუხდა — ვილაცეებმა უმცროსი ძმა, 17 წლის კრისტიანი მოსტაცეს და გამოსასყიდი მოითხოვეს. რიკელმეთა ოჯახს არ უთქვამს რამდენი გადაიხადეს ბიჭის გათავისუფლებაში, თუმცა, პრობლემა ერთ დღეში მოგვარდა.

აქამდე მეორე ადგილზე მყოფმა „ხიმნასია ლა პლატამ“ 2:3 წააგო აპერტურას ჩემპიონ „რასინგ კლუბთან“ და „ბოკას“ გადასწრების საშუალება მისცა. „რასინგი“ საერთოდაც 3:0-ს უგებდა გიმნაზიელებს. ამ გამარჯვებამ ნახევარი წლის ჩემპიონი მეოთხე ადგილზე აიცოცა.

„რივერმა“ კი „სან ლორენსოსთან“ დაკარგა ორი ქულა უგოლო შეხვედრაში, რომელიც ვერ ითამაშა ორი მატჩით დასჯილმა არიელ ორტეგამ, ვინაც წინა ტურში ოლდბოიზელი ფეხბურთელი დაწიხლა. ლუის სესარ მენოტის ხელქვეით მოთამაშე „როსარიო სენტრალმა“ სამმატჩიანი წაგებათა სერია გასვლითი გამარჯვებით დაასრულა. გუნდმა დაცემულ გოლიათს, „ინდეპენდიენტეს“ მოუგო 4:1. ლუსიანო ფიგეროამ უკვე პირველ ოც წუთში შეასრულა დუბლი და ინდეპენდიენტელებმა მხოლოდ 0:4-ზეღა შეძლეს ერთადერთი საპასუხოს გატანა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 23:4 | 27 |
| ბოკა ხუნიორსი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:12 | 24 |
| ხიმნასია | 12 | 7 | 3 | 2 | 24:18 | 24 |
| რასინგი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:12 | 21 |
| სან ლორენსო | 12 | 5 | 4 | 3 | 16:10 | 19 |
| ბანფილდი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 |
| ესტუდიანტესი | 12 | 5 | 2 | 5 | 21:18 | 17 |
| ოლდ ბოიზი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:19 | 17 |
| ველესი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:12 | 16 |
| ურაკანი | 12 | 5 | 1 | 6 | 14:17 | 16 |
| ნუევა ჩიკაგო | 12 | 4 | 4 | 4 | 10:14 | 16 |
| ლანუსი | 12 | 3 | 6 | 3 | 11:11 | 15 |
| არგ. ხუნიორსი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:17 | 15 |
| ჩაკარიტა | 12 | 3 | 5 | 4 | 13:14 | 14 |
| ბელგრანო | 12 | 4 | 1 | 7 | 11:15 | 13 |
| როსარიო | 12 | 4 | 1 | 7 | 13:18 | 13 |
| ტალერესი | 12 | 4 | 0 | 8 | 8:18 | 12 |
| კოლონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:12 | 12 |
| ინდეპენდიენტე | 12 | 3 | 1 | 8 | 11:20 | 10 |
| უნიონი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:24 | 9 |



ფეხბურთის რუპასტრუპ

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს, ორი წლის შემდეგ, ფიფას ასი წლისთავის აღსანიშნავად, ამხანაგური მატჩი ჩატარდეს ურუგვაისა და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონს შორის. მოგეხსენებათ, ურუგვაი პირველი მსოფლიოს ჩემპიონია. მატჩის ჩატარებას მონტევიდეოს „სენტენარიოზე“ვარაუდობენ. ფიფას ხელმძღვანელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

**ესპანური „ბილბაოს“ მცველი რაფაელ ალკორტა სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს. სავარაუდოდ, 33 წლის მცველი ფრანგულ პსჟ-ში გადავა, რომელსაც „ბილბაოს“ ყოფილი თავკაცი ლუის ფერნანდესი წვრთნის.**

იტალიური „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი მწვრთნელ მარჩელო ლიპის სამომავლო გეგმებზე გაესაუბრა. შესაძლოა, მოლაპარაკების შედეგად ლიპი ტურინულ კლუბში 2004 წლამდე დარჩეს.

**ფრანგული „ნანტის“ მეკარემ მიშელ ლანდრომ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კლუბიდან წავა. „არასდროს არ დამიმალავს, რომ უკეთეს გუნდში გადასვლა მსურს“ — განაცხადა მან. აქვე გეტყვით, რომ ლანდროს გადაბირებას ესპანური „ბარსელონა“ აპირებს. ლანდრო საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეცაა.**

იტალიური „ფიორენტინას“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კლუბის მწვრთნელი ოტავიო ბიანკი პრეზიდენტად დაინიშნა. ამგვარად, სეზონის ბოლომდე ბიანკი ორ თანამდებობას შეითავსებს, მერე კი „ფიორენტინას“ ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ.

## დანია

25-0 ტური: ორჰუსი — მიდტიულანდი 2:3; ესბიერგი — ოლბორგი 0:1; სილკებორგი — აკადემისკი 1:1; ვაილე — ბრონდბიუ 1:1; კოპენჰაგენი — ოდენსე 4:0; ლიუნგბიუ — ვიბორგი 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 25 | 16 | 6 | 3 | 56:20 | 54 |
| კოპენჰაგენი | 25 | 13 | 8 | 4 | 44:18 | 47 |
| ოლბორგი | 25 | 14 | 4 | 7 | 41:31 | 46 |
| ოდენსე | 25 | 10 | 8 | 7 | 37:37 | 38 |
| აკადემისკი | 25 | 9 | 10 | 6 | 37:26 | 37 |
| ესბიერგი | 25 | 11 | 4 | 10 | 36:35 | 37 |
| მიდტიულანდი | 25 | 9 | 9 | 7 | 31:22 | 36 |
| ვიბორგი | 25 | 7 | 10 | 8 | 31:30 | 31 |
| სილკებორგი | 25 | 6 | 6 | 13 | 27:33 | 24 |
| ვაილე | 25 | 5 | 7 | 13 | 29:56 | 22 |
| ორჰუსი | 25 | 4 | 8 | 13 | 28:41 | 20 |
| ლიუნგბიუ | 25 | 2 | 8 | 15 | 21:69 | 14 |

## ავსტრია

30-0 ტური: ადმირა — აუსტრია 0:5; კერნტენი — ბრეგენცი 1:2; გრაცერი — ტიროლი 0:0; რაპიდი — რიდი 2:1; ზალცბურგი — შტურმი 3:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 30 | 21 | 5 | 4 | 54:10 | 68 |
| შტურმი | 30 | 14 | 10 | 6 | 53:34 | 52 |
| გრაცერი | 30 | 13 | 11 | 6 | 54:35 | 50 |
| აუსტრია | 30 | 12 | 9 | 9 | 44:30 | 45 |
| კერნტენი | 30 | 12 | 6 | 12 | 32:42 | 42 |
| ზალცბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 31:35 | 38 |
| ბრეგენცი | 30 | 10 | 8 | 12 | 43:57 | 38 |
| რაპიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 28:38 | 35 |
| რიდი | 30 | 7 | 8 | 15 | 32:46 | 29 |
| ადმირა | 30 | 3 | 5 | 22 | 18:62 | 14 |

## ჩეხეთი

### XXV ტური

**ლიბერეცი 3:0 იაბლონეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 25 | 17 | 6 | 2 | 47:18 | 57 |
| სპარტა | 25 | 17 | 3 | 5 | 49:15 | 54 |
| ჟიჟკოვი | 25 | 16 | 5 | 4 | 37:17 | 53 |
| ბოჰემიანსი | 25 | 13 | 6 | 6 | 37:26 | 45 |
| სლავია | 25 | 10 | 9 | 6 | 41:30 | 39 |
| ბანიკი | 25 | 10 | 8 | 7 | 36:30 | 38 |
| ბრნო | 25 | 10 | 7 | 8 | 28:34 | 37 |
| სინოტი | 25 | 9 | 5 | 11 | 26:32 | 32 |
| იაბლონეცი | 25 | 7 | 10 | 8 | 24:28 | 31 |
| პრჟიბრამი | 25 | 8 | 6 | 11 | 22:30 | 30 |
| სიგმა | 25 | 6 | 9 | 10 | 24:30 | 27 |
| ჰრადეც კრალოვე | 25 | 7 | 6 | 12 | 23:39 | 27 |
| ტეპლიცე | 25 | 7 | 5 | 13 | 27:38 | 26 |
| დრნოვიცე | 25 | 6 | 5 | 14 | 29:37 | 23 |
| ბლშანი | 25 | 6 | 3 | 16 | 28:45 | 21 |
| ოპავა | 25 | 3 | 3 | 19 | 18:47 | 12 |

## შვედეთი

პირველი ტური: ლანდსკრონა — ჰელსინგბორგი 6:2; აიკ — ელფსბორგი 0:2; ჰალმსტადი — სუნდსვალი 0:1; კალმარი — ნორჩოპინგი 1:0; ჰამარბი — იორგრიტე 2:3; გოტებორგი — იორებრო 1:1; მალმიო — თურგორდენი 1:2

## საბერძნეთი

23-0 ტური: არისი — აეკ 0:3; ეთნიკოსი — ეგალეო 1:0; ირაკლისი — პანაჰაიკი 3:0; ოლიმპიაკოსი — აკრატიტოსი 2:2; ოფი — პაოკ 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 23 | 17 | 1 | 5 | 53:22 | 52 |
| ოლიმპიაკოსი | 23 | 14 | 7 | 2 | 57:25 | 49 |
| პანათინაიკოსი | 22 | 12 | 7 | 3 | 39:19 | 43 |
| პაოკ | 23 | 12 | 6 | 5 | 44:34 | 42 |
| ქსანთი | 22 | 10 | 6 | 6 | 30:20 | 36 |
| ირაკლისი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:30 | 32 |
| ოფი | 23 | 8 | 6 | 9 | 28:30 | 30 |
| არისი | 23 | 7 | 7 | 9 | 22:26 | 28 |
| პანიონიოსი | 22 | 6 | 9 | 7 | 29:31 | 27 |
| ეგალეო | 23 | 6 | 5 | 12 | 23:39 | 23 |
| აკრატიტოსი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:33 | 20 |
| იონიკოსი | 22 | 4 | 7 | 11 | 16:37 | 19 |
| ეთნიკოსი | 23 | 4 | 5 | 14 | 18:37 | 17 |
| პანაჰაიკი | 23 | 2 | 9 | 12 | 21:49 | 15 |

## პოლონეთი

### პლეი ოფი

30-9 ტური: ლეგია — პოლონია 3:0; რუხი — კატოვიცე 2:0; ოდრა — ამიკა 2:2; პოგონი — ვისლა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 9 | 6 | 3 | 0 | 16:8 | 21 |
| ამიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 15:8 | 17 |
| ვისლა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:11 | 14 |
| პოლონია | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 12 |
| კატოვიცე | 9 | 3 | 3 | 3 | 9:13 | 12 |
| პოგონი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| რუხი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:10 | 8 |
| ოდრა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |

### პლეი აუტი

30-9 ტური: ვიძევი — ზაგლებე 2:0; გროცლინი — რადომსკო 1:0; სტომილი — ოსტროვიცე 1:0; შლიონსკი — გურნიკი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურნიკი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:7 | 18 |
| ვიძევი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:5 | 16 |
| ზაგლებე | 9 | 3 | 5 | 1 | 10:9 | 14 |
| რადომსკო | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 |
| სტომილი | 9 | 2 | 6 | 1 | 6:8 | 12 |
| გროცლინი | 9 | 3 | 1 | 5 | 9:10 | 10 |
| ოსტროვიცე | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | 9 |
| შლიონსკი | 9 | 0 | 2 | 7 | 6:16 | 2 |

# ჩაო, დელე ალპი!

„იუვენტუსი“ „დელე ალპიზე“ აღარ ითამაშებს. რატომ? იმიტომ, რომ „დელე ალპის“ რეკონსტრუქცია ელის და დიდი, გაშლილი ნაგებობიდან ეგრეთ წოდებულ „ინგლისური სტილის“ სტადიონად უნდა იქცეს.

თუმცა მანამდე დროა. კერძოდ, კლუბს სურვილი გასჩენია, სარბიელი ქალაქის მუნიციპალიტეტისგან გამოისყიდოს და ამ საქმეში დახმარება ორშაბათს იტალიის საფეხბურთო ლიგამაც აღუთქვა, მაგრამ ჯერ ქაღალდებზე ხელის მოწერასა და ბეჭდის დასმამდე წვრილმან-მსხვილმანებია გასარკვევი.

ისე კი, „იუვენტუსის“ ინტერნეტ-გვერდზე წერია: „საფეხბურთო ლიგის საბჭომ კლუბს სტადიონის შესაძენად წამოწყებულ კამპანიაში ხელშეწყობა აღუთქვა, ხოლო სარბიელის რეკონსტრუქციამდე გუნდი პიმონტის რეგიონში ან ახლომახლო ითამაშებს“.

შეგახსენებთ, რომ „სტადიო დელე ალპი“ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშენდა და „იუვენტუსისა“ და „ტორინოს“ გულშემატკივართა გულები ვერ მოიგო. საყოველთაო აზრით, ნაგებობა ძალიან ფართე და უგულოა, რითაც ამაღელვებელ გარემოს ვერ ქმნის.

„იუვენტუსის“ წარმომადგენელთა გეგმის თანახმად, სტადიონის გალაკეთებას მომდევნო სეზონი უნდა დაეთმოს და „დელე ალპი“ სარბენი ბილიკების გარეშე, წმინდა საფეხბურთო სარბიელად უნდა იქცეს.

ხოლო კითხვაზე თუ სად ითამაშებს მომდევნო სეზონში გუნდი, გულშემატკივრები უპირატესად ჩეზენას, მონცას, პიაჩენცას და რეჯო ემილიას პასუხობენ.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე შორს ჩეზენაა (420 კილომეტრი ტურინიდან), ხოლო ყველაზე ახლოს მონცა (145 კილომეტრი).

**ბაჩუნა კიდია**

## პორტუგალია

### პირველი ლიგა. XXX ტური

**ბრაგა 1:1 სეტუბალი**

1:0 ოდაირი (29), 1:1 ენრიკე (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 30 | 20 | 7 | 3 | 66:20 | 67 |
| ბოავიშტა | 30 | 20 | 6 | 4 | 47:15 | 66 |
| ბენფიკა | 30 | 15 | 11 | 4 | 57:32 | 56 |
| პორტუ | 30 | 17 | 5 | 8 | 52:30 | 56 |
| ბელენენსეში | 30 | 15 | 5 | 10 | 45:39 | 50 |
| მარიტიმუ | 30 | 14 | 4 | 12 | 40:33 | 46 |
| ლეირია | 30 | 12 | 9 | 9 | 43:32 | 45 |
| ფეირეირა | 30 | 10 | 10 | 10 | 37:38 | 40 |
| გიმარაეში | 30 | 10 | 9 | 11 | 29:30 | 39 |
| ბრაგა | 30 | 9 | 11 | 10 | 35:31 | 38 |
| სანტა კლარა | 30 | 9 | 9 | 12 | 25:35 | 36 |
| ბეირა მარი | 30 | 9 | 8 | 13 | 43:50 | 35 |
| სეტუბალი | 30 | 8 | 10 | 12 | 34:37 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 30 | 8 | 7 | 15 | 33:50 | 31 |
| ვარზიმი | 30 | 7 | 8 | 15 | 23:48 | 29 |
| სალგეიროში | 30 | 7 | 6 | 17 | 25:52 | 27 |
| ალვერკა | 30 | 6 | 6 | 18 | 31:54 | 24 |
| ფარენსე | 30 | 5 | 7 | 18 | 23:52 | 22 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXX ტური

**აინტრახტი 0:0 მაინცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 30 | 20 | 9 | 1 | 81:30 | 69 |
| მაინცი | 30 | 17 | 8 | 5 | 59:32 | 59 |
| არმინია | 30 | 17 | 7 | 6 | 61:31 | 58 |
| ფიურტი | 30 | 16 | 8 | 6 | 58:33 | 56 |
| ბოხუმი | 30 | 16 | 7 | 7 | 60:46 | 55 |
| უნიონი | 30 | 14 | 8 | 8 | 55:35 | 50 |
| აინტრახტი | 30 | 12 | 10 | 8 | 46:40 | 46 |
| დუისბურგი | 30 | 11 | 9 | 10 | 53:45 | 42 |
| ალენი | 30 | 12 | 6 | 12 | 52:63 | 42 |
| როიტლინგენი | 30 | 11 | 5 | 14 | 44:51 | 38 |
| ალემანია | 30 | 11 | 4 | 15 | 37:59 | 37 |
| ვალდჰოფი | 30 | 9 | 9 | 12 | 37:45 | 36 |
| კარლსრუე | 30 | 9 | 8 | 13 | 39:47 | 35 |
| ობერჰაუზენი | 30 | 9 | 7 | 14 | 47:45 | 34 |
| უნტერჰახინგი | 30 | 8 | 7 | 15 | 35:45 | 31 |
| შვაინფურტი | 30 | 6 | 5 | 19 | 25:60 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 30 | 4 | 7 | 19 | 21:64 | 19 |
| ბაბელსბერგი | 30 | 4 | 4 | 22 | 33:74 | 16 |

## იტალია

### სერია B. XXX ტური

**სამპდორია 0:0 ჯენოა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 51:24 | 59 |
| რეჯინა | 30 | 16 | 9 | 5 | 42:26 | 57 |
| კომო | 30 | 17 | 6 | 7 | 39:27 | 57 |
| მოდენა | 30 | 15 | 10 | 5 | 45:18 | 55 |
| ნაპოლი | 30 | 13 | 10 | 7 | 37:30 | 49 |
| სალერნიტანა | 30 | 13 | 8 | 9 | 47:43 | 47 |
| პალერმო | 30 | 12 | 8 | 10 | 40:42 | 44 |
| ვენეცია | 30 | 11 | 10 | 9 | 44:42 | 43 |
| ჯენოა | 30 | 8 | 13 | 9 | 31:28 | 37 |
| სამპდორია | 30 | 9 | 10 | 11 | 36:38 | 37 |
| ანკონა | 30 | 10 | 7 | 13 | 33:42 | 37 |
| ბარი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:39 | 37 |
| კალიარი | 30 | 7 | 13 | 10 | 28:30 | 34 |
| მესინა | 30 | 7 | 13 | 10 | 30:33 | 34 |
| კოზენცა | 30 | 9 | 7 | 14 | 34:47 | 34 |
| ტერნანა | 30 | 6 | 14 | 10 | 37:42 | 32 |
| ჩიტადელა | 30 | 8 | 8 | 14 | 37:45 | 32 |
| სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 25:38 | 32 |
| პისტოიეზე | 30 | 6 | 10 | 14 | 28:39 | 28 |
| კროტონე | 30 | 3 | 10 | 17 | 32:53 | 19 |

# ჩემპიონთა ლიგა

## მეოთხედფინალი დღეს საპასუხო მატჩი

**დღეს** ტიტანთა მორიგი ბრძოლაა, მადრიდს მიუნხენის „ბაიერნი“ სტუმრობს, წინა კვირის გმირიც და ანტიგმირიც. „სანტიაგო ბერნაბეუს“ მორიგი ვნებათაღელვა ელის, ფიგუ, ზიდანი, რაული და კომპანია „ეფეს“, კანისა და ელბერის კომპანიის წინააღმდეგ, მატჩის ფასი განუსაზღვრელია: „ან ყველაფერი, ან არაფერი“ — ამბობს შტეფან ეფენბერგი, „სიცოცხლე ან სიკვდილი“ — ასე უდირს ზინედინ ზიდანს და ვფიქრობ, ამით დღევანდელი შეხვედრის მნიშვნელობაზე ყველაფერი ნათქვამია.

მატჩს „რეალიც“ და „ბაიერნიც“ უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვით ხვდებიან. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ კი მწვრთნელები მოქცეულან — მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე პრეზიდენტის წინაშე განიცდის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, ლამის მსოფლიოს ნაკრების შემკრებმა ფლორენტინო პერესმა ერთხელ უკვე ჩაყლაპა მწარე ლუკმა, როცა 6 მარტს, „სამეფო კლუბის“ ასწლოვან იუბილეზე „რეალმა“ ქვეყნის თასი „დეპორტივოს“ დაუთმო. მაშინ პერესს დელ ბოსკეს საწინააღმდეგოდ ხმა არ ამოუღია, ფეხბურთში ასეთებიც ხდებაო, თქვა და გუნდს სიმშვიდისკენ მოუწოდა, რითაც თავისი პრესტიჟი კიდევ უფრო აიმაღლა.

შეიძლება პერესმა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემთხვევაშიც არ ამოიღოს ხმა, ისე მოაწეროს მწვრთნელის გათავისუფლების ფურცელს ხელი.

ცხადია, უკეთეს დღეში, თუ უარესში არა, არც ოტმარ ჰიცფელდია. წინა სამშაბათის გმირს შაბათს აქეთ ტკბილი სიტყვა არ გაუგია, მხოლოდ კრიტიკა ესმის. მწვრთნელის ლანძღვა კი მას მერე დაიწყო, რაც „ბაიერნმა“ ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ვერდერს“ შინ ვერაფერი მოუხერხა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას საბოლოოდ დაემშვიდობა. მანამდე კი... მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად და დაწვრილებით მივყვეთ.

### სამშაბათიდან სამშაბათამდე

...მანამდე კი იყო ქება და „ბაიერნის“ ცაში აყვანა, რაც წინა სამშაბათს „ოლიმპიაშტადიონზე“ „რეალის“ ბოლო ათ წუთში გატეხვას მოჰყვა. თუმცა ბევრს რატომღაც დაავიწყდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ორი მატჩისაგან შედგება და მიუნხენელები მადრიდშიც იყვნენ ჩასასვლელნი. ერთი კვირის წინანდელი ქება-დიდება ბავარიელებმა შეიფერეს, იმავ ჰიცფელდმა თამაშის მერე ისიც კი თქვა, არ მესმის იმ ხალხის, ვინც „რეალს“ მსოფლიოში უძლიერესად მოიხსენიებს, ჯერ ერთი, ლამის ყოველ წელს ორჯერ ვამარცხებთ და მეორეც, ნუ დაგავიწყდებათ, ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი ვინ არისო. ამის გარდა ჰიცფელდმა შეგირდებს სულ ხოტბა ასხა, განსაკუთრებით კი, ალბათ, მიხვდით, ეფენბერგი გამოარჩია.

„დღეს კიდევ ერთხელ დავანახეთ მსოფლიოს, რომ „ბაიერნი“ ყველასგან გამორჩეული კლუბია. დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის თამაში 90 წუთს გრძელდება. სიმართლე გითხრათ, „ეფეს“ გაფუჭებულმა პენალტმა და ელბერის მიერ ხარიხისთვის გარტყმულმა ბურთმა მაფიქრებინა, რომ დღეს ჩვენი დღე არ იყო, გუნდი თითქოს უკვე გატეხილიც ჩანდა, მაგრამ ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს. შტეფანმა კი მოახერხა ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში, თავისი ძალა ეჩვენებინა. მისი ხასიათის და მისნაირი მებრძოლი ადამიანი მსოფლიოში არ მეგულება.

ახლა მადრიდში ოპტიმისტური განწყობით წავალთ, „რეალს“ დღევანდელი მარცხის ნიშნები მადრიდშიც დაეტყობა, ძნელი სავარაუდოა, მათ დღეს შერჭობილი ეკალი საპასუხო მატჩამდე ამოიძრონ“ — ეს იყო ჰიცფელდის მიერ წინა კვირაში უხვად ჩამორიგებული ინტერვიუების ძირითადი არსი.

თუმცა ნათქვამი, დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის თამაში 90 წუთი გრძელდებაო, შაბათს ცუდად აუხდა — „ბაიერნმა“ „ვერდერთან“ საშინაო მატჩის ბოლო წუთზე გოლი გაუშვა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთხოვა, გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის საგზურიც სათუო გაიხადა. ჰოდა, ჟურნალისტებმაც ბავარიელთა დამრიგებელს ირონიული კითხვით მიმართეს, ჰერ ჰიცფელდ, რამდენ ხანს გრძელდება მატჩი „ბაიერნისთვის“, შემთხვევით 89 წუთი ხომ არა? „რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი, ძალიან იმედგაცრუებული ვარ, ჩემი ოცნება, „ბაიერნთან“ ერთად ზედიზედ მეოთხედ გავმხდარიყავი გერმანიის ჩემპიონი და ამით ქვეყნის რეკორდი დამემყარებინა, ერთ წუთში მოკვდა, უკვე ვხედავ, გუნდს ახალი სისხლი სჭირდება“ — ასეთი იყო მწვრთნელის პასუხი.

სხვათა შორის, გაზეთმა „ბილდმა“ მიუნხენელთა მენეჯერსაც გაუხსენა ადრე ნათქვამი. გუშინდელ „სარბიელშიც“ ნახავდით ული ჰიონესის ფოტოს, რომლის გვერდზეც ფოტომონტაჟია წარწერით: ული ჰიონესი 100 წლის მერე. ამ ფოტომონტაჟზე ჰიონესი საკმაოდ ხნიერად გამოიყურება. შეგახსენებთ, 1998 წლის 7 დეკემბერს ჰიონესს ამ „ბილდისთვის“, ამ პოპულარული გაზეთისთვის უთქვამს, „ლევერკუზენი“ ასი წელი ვერ გვაჯობებსო. „ბილდიც“ იმიტომ არის პოპულარული, რომ ამნაირი რამეების გახსენება იცის, რისი დასტურიც ის კომპიუტერული გამაყირებაა. ამაზე ჰიონესმა აღნიშნა: „მე კვლავაც ძველ აზრზე ვარ, „ლევერკუზენი“ ჩვენთან ახლოს კიდევ კარგა ხანს ვერ მოვა, მერე რა, რომ ამ სეზონში გვაჯობა, მე იმ სიტყვებში ეს სულაც არ მიგულისხმია, ზოგადად ვთქვი და ისევ ვიტყვი, „ბაიერს“ „ბაიერნამდე“ ძალიან ბევრი აკლია“.

ერთი კვირის წინანდელ ეიფორიას დავუბრუნდეთ. ცხადია, „რეალის“ ძლევის მერე თავისი სათქმელი იმ გამარჯვების სულისჩამდგმელმა შტეფან ეფენბერგმაც თქვა, ხუთშაბათის „ბილდმა“ მისი ვრცელი მონოლოგი დაბეჭდა, რომელსაც შემოკლებით გაგაცნობთ:

„ეს არ იყო ფეხბურთი, ეს იყო საოცრება. მე მესმოდა და ვხედავდი ტრიბუნების აღფრთოვანებას, როცა მინდორზე ზიდანი და რობერტო კარლოსი ჯადოქრობდნენ, მაგრამ მთავარი ეგ სულაც არ არის, მთავარი ბრძოლა, სწრაფვა და შემართებაა. მე ვამაყობ ჩემი თანაგუნდელებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანი სიგნალი მოედანზე ჰასან სალიჰამიჯიჩის გამოჩენა იყო, „ბრაცო“ ჩვენი სიმბოლოა, ის სტიმულს გვაძლევს, მინდორზე დაქრის და ჩვენც გვიყოლიებს...

...პენალტის დარტყმის არასდროს შემშინებია. უფრო დიდი წნეხის ქვეშაც შემისრულებია და გამიტანია კიდეც, მაგალითად, წინა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „ვალენსიასთან“. უბრალოდ ახლა სუსტად დავარტყი. ეს მოკლე გამორბენის ბრალი სულაც არ არის, მე ხომ ყოველთვის ასე ვაკეთებ...

...ბევრი, ალბათ, ამის მერე მწვრთნელს შეცვლას სთხოვდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ გასვლის უფლება არ მქონდა, ჩემს უკან კიდევ ათი კაცი იდგა, მე მათთვის არ უნდა მეღალატა, პირიქით, უნდა დამენახებინა, რომ ისევ ვცოცხლობ. ამიტომაც ყველა ორთაბრძოლაში ვებმებოდი და ვცდილობდი, იქ ვყოფილიყავი, სადაც დაძაბულობა იყო...

...და უცბად ელბერმა ბურთი ლამის ლანგრით მომართვა, სესარმა კუთხე შემიმცირა და გატანა უფრო ძნელი იყო, ვიდრე პენალტისა, თუმცა კარგად დავარტყი, ამის მერე რაც ვიფიქრე, ის იყო, რომ მოსაგებად დრო საკმაო გვქონდა. ამ დროს კი კანი მომვარდა და ერთდროულად ვიღრიალეთ: ჩვენ მოვუგებთ „რეალს“! უზომოდ მესიამოვნა კანის საქციელი, ის ხომ საგანგებოდ მოვიდა ამის სათქმელად ჩემთან, ოლიც უზომოდ მებრძოლი ტიპია, თანაც მან მე დამანახა, რომ ჩემი სჯეროდა.

მერე კი, მეორე გოლის შემდეგ ლამის დავამარცხეთ „ვარსკვლავთა გალაქტიკა“, როგორც მადრიდის „რეალს“ ჰქვია. ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ჩვენი თამაში მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს — სუპერ! წაგებული მატჩის შემოტრიალება შევძელით. ჩემთვის ეს იყო მოგზაურობა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში!“

აი, ასეთი იყო „ეფეს“ შთაბეჭდილება პირველ მატჩზე. საკითხავია, ბავარიელთა კაპიტანმა სამოთხემდე კი მიაღწია, მაგრამ იქ რა პასუხს მიიღებს ღმერთისგან, თავისთან დაიტოვებს უფალი თუ უკან ჯოჯოხეთში დასაბრუნებელ ბილეთს გამოუწერს?

„ბაიერნი“ „ბაიერნად“ და „რეალზეც“ ვთქვათ. მადრიდელებმა წაგება არც ისე მტკივნეულად აღიქვეს. „ცხადია, როცა თამაშის ბოლომდე იგებ და უცბად წააგებ, საწყენია, მაგრამ ვფიქრობ, დღეს არაფერი გადაწყვეტილა, ყველაფერი წინაა“ — განუცხადა ზინედინ ზიდანმა გერმანულ ტელეკომპანია PREMIERE-ს. თუმცა მადრიდელები ერთ რამეზე კი განრისხდნენ. თამაშის მერე, ჰასან სალიჰამიჯიჩს ესპანურ გაზეთ MARCA-სთვის უთქვამს, საკმარისია, „რეალს“ მიაწვე, მაშინვე ქვეშ ისვრისო. გაზეთმაც შესაბამისი სათაური გამოიტანა პირველ გვერდზე, რამაც რეალელები ალაშფოთა. რობერტო კარლოსმა, ვინ არის საერთოდ სალიჰამიჯიჩი, რომ თავს ასეთი რამეების ლაპარაკის უფლებას აძლევსო. ლუიშ ფიგუმ დიპლომატიურად აღნიშნა, კაცს პროფესიონალი ფეხბურთელი მარტო იმიტომ არ გქვია, რომ ფეხბურთს თამაშობ, ეს სახელი სხვა რამესაც ნიშნავს და სამწუხაროა, რომ ზოგიერთებმა ეს არ იციანო. მერე ბოსნიელმა თავისი ნათქვამი გადააკეთა, მე მაგის თქმა სულაც არ მინდოდა, უბრალოდ აღვნიშნე, როცა „ბაიერნი“ ასე აგრესიულად თამაშობს, ვერც ერთი გუნდი ვერ გვიდგება წინო და ყველაფერი ამით დასრულდა.

მერე „რეალმა“ ძველებურად განაგრძო ცხოვრება, შაბათს „რაიო ვალეკანო“ დაიბრიყვა და „ვალენსიასთან“ ერთად ისევ ლიდერობს პრიმერადივიზიონს. იმ შეხვედრაში საინტერესო ის იყო, რომ გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული ლუიშ ფიგუ, რომელმაც ბოლო 15 წუთი ითამაშა და პენალტიც გაიტანა.

აი, ეს იყო ძირითადად სამშაბათიდან სამშაბათამდე, ახლა კი

### გუშინდლიდან დღემდე

გუშინ დილით 10:30 საათზე მიუნხენის „ბაიერნი“ საკუთარი თვითმფრინავით, რომელსაც ცხადია FC BAYERN-ი ჰქვია, მადრიდის გზას დაადგა, ესპანეთის დედაქალაქში ჩასული კი ელიტარულ სასტუმრო VILLA MAGNA PARK HYASS-ში დაბინავდა. გერმანელები დღეს კვლავ მოისაკლისებენ მეჰმეთ შოლსა და კარსტენ იანკერს, რომლებიც კარგა ხანია ტრავმირებულები არიან. მადრიდში ჩასულმა ბაიერნელებმა გულას პირი მოხსნეს და მეტოქეს ემუქრებიან, სატელევიზო ინტერვიუებშიც მომღიმარი სახეებით ჩანან და ნახევარფინალსაც მალიმალ ახსენებენ. მათგან განსხვავებით ფრთხილადაა ოტმარ ჰიცფელდი.

„2:1-ის ნახევარფინალში გასვლის გარანტიად მიჩნევა, თვითმკვლელობის ტოლფასია. იგრძნობა, რომ „რეალს“ ჩვენი შიში აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. შეცდომების უფლება არ გვაქვს. კლუბის გარშემო შექმნილი ბოლოდროინდელი ვითარება, იმედია შედეგზე არ იმოქმედებს. ჩვენ უძლიერეს მეტოქეს ვხვდებით, ამიტომ ყველაფერია მოსალოდნელი. პირადად მე არც უტიტულოდ დარჩენის მეშინია“ — თავს იზღვევს მიუნხენელთა თავკაცი, რომელსაც ეს სიფრთხილე გერმანელმა ჟურნალისტებმა ბოლო ერთ კვირაში ასწავლეს.

გერმანელებისგან განსხვავებით, „რეალის“ დამრიგებელმა ვისენტე დელ ბოსკემ ფეხბურთელებს გუშინდლიდან ინტერვიუები და კომენტარები აუკრძალა. „ლაპარაკის დრო დასრულდა, წინ თამაშია“ — მკაცრი უარით გაისტუმრა ულვაშა მწვრთნელმა აბეზარი მედიელები. სამაგიეროდ, 80-იანი წლების „რეალის“ ლეგენდამ, უგო სანჩესმა ამოიღო ხმა. „გამარჯვებისთვის ერთია საჭირო, „რეალმა“ ბურთი უნდა დაიჭიროს და თავისებურად ითამაშოს, „ბაიერნს“ ხომ ბურთის გორების არაფერი გაეგება — ასეთი რადიკალურია სანჩესი, რომელიც, ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ოლივერ კანსაც გადაწვდა — კანი ნამდვილი პროვოკატორია, თანაც ჯამბაზის ტიპის. ჩვენები მის პროვოკაციებს არ უნდა აყვნენ. ეს კარგს არაფერს მოუტანთ.“

ასეთია მატჩისწინა ამბები, რომელიც უფრო კრივის წინასამატჩო ამბებს წააგავს. კიდევ კარგი, ფეხბურთშიც ისე არაა მიღებული ფეხბურთელთა პრესკონფერენციაზე დაპირისპირება, თორემ თქვენ მერე გენახათ, ეგებ ტაისონ — ლუისის ამბავი მონაგონი გამხდარიყო.

და ბოლოს, მაინც საინტერესოა, სად გაიღვიძებს ხვალ დილით შტეფან ეფენბერგი, სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში?

**ვანო ოქროპირიძე ბერლინიდან**

#### რეალი — ბაიერნი (1:2)

#### სავარაუდო შემადგენლობები

| რეალი | ბაიერნი |
|---|---|
| სესარი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, ზიდანი, სოლარი, რაული, მორიენტესი | კანი, კუფური, ლინკე, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ეფენბერგი, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი, სანტა კრუზი |

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)

# ასი წელი სამმა წელმა ჩაიტია

## მოგზაურობა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში და უკან?



ეფენბერგი და კანი: ჩვენ მოვუგებთ „რეალს“!



მადრიდელებს მიუნხენში წაგებამ ხასიათი ვერ წაუხდინა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეოთხედფინალი დღეს საპასუხო მატჩი

*ესპანურმა გაზეთმა „ასმა" მოასწრო და სანამ ვისენტე დელ ბოსკე ინტერვიუებს აკრძალავდა, მადრიდის „რეალის" ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს გაესაუბრა. პორტუგალიელი ფეხბურთელი, მოგეხსენებათ, ტრავმირებული იყო და იძულებითი შესვენების შემდეგ პრიმერადივიზიონის წინა ტურში „რაიო ვალეკანოსთან" შეცვლაზე ითამაშა. იმ შეხვედრაში მან გოლიც გაიტანა.*

# მუქარა შიშის სიმპტომია



ლუიშ ფიგუ ლიგას უბრუნდება

**— როგორ გგონიათ, ხართ თუ არა მზად, გერმანელებთან 90 წუთი ითამაშოთ?**

— ვფიქრობ კი, მართალია, „რაიო ვალეკანოსთან" დიდხანს არ ვყოფილვარ მოედანზე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ტრავმა აღარ მაწუხებს.

**— შეცვლაზე შეხვედით თუ არა, ორიოდ წუთში გოლის გატანაც მოახერხეთ.**

— განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. მეტოქის კარში პენალტი დაინიშნა და თანაგუნდელებმაც მე მომანდეს მისი შესრულება. მეც ზუსტად დავარტყი.

**— ამ სეზონში ერთი პენალტიც არ გაგიცუდებიათ. შვიდიდან შვიდივე გაიტანეთ.**

— მართლაც მიმართლებს და ჯერჯერობით ასპროცენტიან შედეგს ვაღწევ, მაგრამ ვთვლი, რომ პენალტის გატანა უფრო იღბალზეა დამოკიდებული.

**— „ბაიერნთან" საპასუხო მატჩზე რას იტყვით?**

— ჩვენ ერთადერთი მიზანი გვაქვს, ნახევარფინალში მოვხვდეთ და ამით „რეალის" ყველა გულშემატკივარს სიხარული მოვუტანოთ.

**— ასეთ დიდ მატჩში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საპატიოა.**

— ეს შეხვედრა ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მთელი სეზონი მუხლჩაუხრელად ვიმუშავეთ და, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვაქვს, დარჩენილ დროშიც წარმატებებს მივაღწიოთ. ყველა ელის, რომ შეხვედრა სანახაობრივად ლამაზი გამოვა და ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდება. ჩვენ ვეცდებით და იმედია, გაგვიმართლებს.

**— მიუნხენელთა ერთ-ერთი ლიდერი, შტეფან ეფენბერგი, მადრიდში ჩამოსვლამდე ბევრს იმუქრებოდა. მის კომენტარებს მშვიდად შეხვდით?**

— ასეთი გამონათქვამები თითქმის ყველა მატჩის წინ გვესმის რომელიმე ფეხბურთელის მხრიდან. გერმანელების მიზანია, ისეთი რამ თქვან, როგორმე წყობიდან გამოგვიყვანონ. მათ [illegible]ლად იციან, რომ მადრიდში ურთულესი მატჩი ელით, მუქარის ტაქტიკასაც ამიტომ მიმართავენ. ჩვენ წყნარად ვართ. ასეთი მუქარები, ცხადია, მოთმინებიდან ვერ გამოგვიყვანს. უბრალოდ, მოედანზე გავალთ და ისეთ ფეხბურთს ვითამაშებთ, როგორიც „რეალს" შეეფერება.

**— პირიქით რომ მოხდეს და მუქარამ ნერვების აშლის ნაცვლად სტიმული მოგანიჭოთ?**

— არა მგონია, ამ მატჩის წინ რაიმე დამატებითი მოტივაცია გვჭირდებოდეს. ვიმეორებ, „ბაიერნი" რომ არ გვიფრთხილდეს, არც დაგვემუქრებოდა.

**— რა იქნება თქვენთვის ყველაზე სასურველი შედეგი?**

— ძალიან მინდა, ერთადერთი და გამარჯვების გოლი საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე გავიტანოთ, რადგან ამ შემთხვევაში „ბაიერნს" უბრალოდ, საპასუხო გოლისთვის დრო არ დარჩება. თუმც ჩვენ რომ სწრაფი გოლი შევაგდოთ, მეტოქე იძულებული გახდება, ისეთი ფეხბურთი გვეთამაშოს, როგორიც ყველაზე მეტად არ მოსწონს — შეტევითი.

**— წარმატების შემთხვევაში, ნახევარფინალში „ბარსელონას" შეხვდებით?**

— არც „ბარსასთან" შეხვედრას და არც მისი ქომაგების სტვენას არ ვუფრთხი. მე პატივს ვცემ ამ გუნდს. ისე, „ბარსელონას" არცთუ სახარბიელოდ აქვს საქმე. ორი ბურთი აქვს გასატანი ნახევარფინალში მოსახვედრად.

**— ზინედინ ზიდანის გვერდით თამაში თუ განიჭებთ სიამოვნებას?**

— ზიდანი უდიდესი ფეხბურთელია. ვთვლი, რომ მისგან ნებისმიერმა მოთამაშემ შეიძლება ბევრი ისწავლოს. მოხარული ვარ, რომ მასთან ერთად „რეალში" ვთამაშობ.

## მანჩესტერი — დეპორტივო (2:0)

### სავარაუდო შემადგენლობები

ბარტეზი, გ. ნევილი, იონსენი, ბლანი, სილვესტრი, ბათი, ბექემი, ვერონი, გიგზი, სოლსკიაერი, ვან ნისტელროი

მოლინა, სკალონი, ნაიბეტი, სესარი, რომერო, მაურო სილვა (ან დუშერი), სერხიო, ვიქტორი, ვალერონი, ფრანი, ტრისტანი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

# იქით გაიწი, ქალო, ყბა არ ამოგაცალო!

**„დეპორტივოსთან"** მატჩის წინ დევიდ ბექჰემმა მერსედეს S500 მარკის ჯავშნიანი ავტომობილი შეიძინა. სანაცვლოდ ფეხბურთელმა 256 ათასი ევრო გადათვალა. ბოლო დროს დევიდისა და მისი ოჯახის მისამართით მუქარა, ფულის გამოძალვის მიზნით გახშირდა. ჰოდა, მეოჯახეს ისღა დარჩენოდა, თავისი ფეხმძიმე მეუღლე და პატარა ბრუკლინი ჯავშნით დაეცვა.

ასე თუ ისე, ბექჰემმა კი იზრუნა თავდაცვაზე, მაგრამ ხომ არიან უუნარონიც? მაგალითი გნებავთ? მავანი მანჩესტერელი, 78 წლის პენსიონერი დარენ ფარენი, „დეპორტივო" — „მანჩესტერის" პირველ მატჩს შინ ტელევიზორში უყურებდა. გვერდით ალკოჰოლური სასმელი ედგა და თან წრუპავდა. იმ დროს, როცა ბექჰემმა გოლი გაიტანა, მისტერ დარენის მეუღლემ ტელევიზორის წინ გაიარა, ბოთლიც წააქცია და გოლის მომენტსაც ჩამოეფარა. კაცი შმაგის სახით წამოხტა, გაოცებულმა ქალმა კი პირი დააღო. განრისხებულმა იმით, რომ გოლიც ვერ ნახა და საწრუპიც დაიღვარა, მისტერ დარენმა მეუღლეს ღია პირიდან ქვედა პროთეზი ამოაცალა და ღია სარკმელში გატყორცნა. დებოშიორი ფან-ვეტერანი ადგილობრივმა სასამართლომ 150 გირვანქით დააჯარიმა.

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარ კაცთა ცოლები, იმედია, უდროო დროს არ გაივლიან ტელევიზორების წინ. აი, როი კინი ნამდვილად უდროოდ გამოაკლდა გუნდს. გეხსომებათ, მან პირველი მატჩის პირველ ტაიმში ტრავმა მიიღო და შესაძლოა, თვენახევარი დაისვენოს იძულებით. „სამი წლის წინ — თქვა ალექს ფერგიუსონმა — კინი ჩვენ ფინალში გასვლაში დაგვეხმარა, თუმცა „იუვენტუსთან" მიღებული მეორე ყვითელი ბარათის გამო ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვა. ჩვენ ახლაც ძალგვიძს იგივე გზა გავიაროთ, ოღონდ ერთი განსხვავებით — როი კინმა ფინალში უნდა ითამაშოს". ირლანდიელის ნაცვლად სერ ალექსი ნიკი ბათს ათამაშებს: „ნიკი ლა კორუნიაში ბრწყინვალედ გაისარჯა და ვალერონიც საიმედოდ ამოკეტა. მან ჩემი იმედები გაამართლა" — შეაქო ბათი ფერგიუსონმა. დღეს მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო პოლ სქოულზი არ ეყოლებათ. დევიდ ბექჰემის და ხუან სებასტიან ვერონის თამაშის შემთხვევაში რაიან გიგზი ჩვეულ მარცხენა ფრთას აიკლებს. თუ პირველი ორიდან ერთ-ერთმა ბურთაობა ვერ შეძლო (ეს კი ნაკლებად სავარაუდოა), მაშინ გიგზი ფორვარდების ზურგსუკან გადაინაცვლებს. უელსელის ადგილს კვინტონ ფორჩუნი დაიკავებს, ხოლო სტუმართა კარს ოლე გუნარ სოლსკიაერი და რუუდ ვან ნისტელროი შეუტევენ. „ლა კორუნიაში გიგზი ნისტელროის უკან იმიტომ დავაყენე, რომ იგი სწრაფადაც აზროვნებს და სწრაფადაც მოძრაობს. მან ერთიორად გაურთულა საქმე მასპინძელთა დაცვას. ევროთასებზე წარმატების მისაღწევად კი საჭიროა შეტევა და კიდევ შეტევა" — ბრძანა ალექს ფერგიუსონმა.



ალექს ფერგიუსონმა დევიდ ბექჰემს „დეპორტივოს" დამარცხება ჩასჩურჩულა

რაიან გიგზს ჩემპიონთა ლიგის ფინალის ნოსტალგია მისძალებია: „აგერ უკვე ზედიზედ ორი სეზონია, ლიგის გათამაშებას მეოთხედფინალიდან ვეთხოვებით. ამჟამად გუნდი კარგ ფორმაშია და ჩვენ ეს ლა კორუნიაშიც დავამტკიცეთ. თუ დღესაც ანალოგიურად ვითამაშებთ და შემდგომშიც ასე გავაგრძელებთ, ვფიქრობ, რეალური შანსი გვაქვს ფინალში გასვლისა".

„მალიორკასთან" ჰეთ თრიქის შემსრულებელი დიეგო ტრისტანი დევიდ ბექჰემის წინაამდეგ უხეშობას ნანობს და არც ბოდიშის მოხდა ეთაკილება: „ვწუხვარ ბექჰემის გამო, მაგრამ ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. თავიდან მეგონა, რაღაც საშინელება ჩავიდინე. მატჩის შემდეგ ჩემს საქციელზე ვფიქრობდი. იმ მომენტში ისე ვიყავი ჩართული თამაშში, რომ საკუთარ თავზე კონტროლი წამიერად დავკარგე. როცა დევიდს ენახავ, მოვუბოდიშებ. მინდა, მალე დაივიწყო ეს ინციდენტი".

დღეს, „ოლდ ტრეფორდზე" დიეგო ტრისტანს, ალბათ, ბოდიშის მოხდა არ დაავიწყდება, ისევე როგორც მასპინძელ მცველებს პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში ტრისტანის მიერ გატანილი სამი გოლი. „მალიორკას" გაცამტვერება ერთგვარ მუქარადაც კი მონათლეს, „დეპორტივომ" მეტოქეს თითქოს აგრძნობინა, ჩვენ ვფხიზლობთ და ნურც თქვენ ჩაგეძინებათო.

„დეპორტივოს" მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა ასე ბჭობს: „ნახევარფინალში გასაღწევად სამი გოლი გვჭირდება, თან არ უნდა გავუშვათ. ამისთვის საჭიროა, მთელი მატჩის განმავლობაში მონდომებულნი ვიყოთ და მაქსიმალური ყურადღებით ვითამაშოთ. „დეპორტივოს" არავისი ეშინია. თითოეული ბურთისთვის უნდა ვიომოთ. თუ ბედმა გაგვიღიმა და სწრაფი გოლიც შევაგდეთ, ეს დამატებითი სტიმული იქნება".

„მალიორკასთან" მატჩში მე-20 წუთზე ტრავმის გამო ნახევარმცველი მაურო სილვა შეცვალეს. თუ იგი არ მომჯობინდა, მის ნაცვლად დღეს ალდო დუშერი ითამაშებს. ხოლო სწრაფი გოლის გასატანად იშტაზე მოსულ დიეგო ტრისტანს, შესაძლოა, ირურეტამ, თავიდანვე როი მაკაი შეუწყვილოს.

მაურო სილვა: „ძალიან მძიმე და დაძაბული მატჩი გველის. ჩვენი შესაძლებლობების ზღვარზე უნდა ვითამაშოთ. ნახევარფინალში გასვლა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. ერთხელ უკვე ნახეს მანჩესტერში, თუ რა შეგვიძლია, იმასაც შევახსენებთ, რომ „დეპორტივოს" მნიშვნელოვანი შეხვედრებში მოგება ძალუძს, წინ 90 წუთია".

**გაგა ხუციშვილი**

# მსოფლიოს ჩემპიონატი

**F ჯგუფი: არგენტინა, ნიგერია, ინგლისი, შვედეთი**



ფართობი: 2 766 890 კმ²
მოსახლეობა: 36 900 000
დედაქალაქი: ბუენოს აირესი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1893 წელს
ფიფას წევრი 1912 წლიდან
სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის წევრი 1916 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ხულიო გრონდონა
**გენერალური მდივანი:** ფერნანდო მიელე
**სტადიონი:** „რივერ პლეიტი" (80 000)
**მწვრთნელი:** მარსელო ბიელსა
**კაპიტანი:** რობერტო ფაბიან აიალა
**ფორმა:** თეთრ-ლურჯი მაისურა, შავი ტრუსი, თეთრი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ბოკა ხუნიორსი", „რივერ პლეიტი", „ველეს სარსფილდი", „ინდეპენდიენტე", „ესტუდიანტესი", „რასინგი", „არგენტინოს ხუნიორსი"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 2





# შენ, ასეთი ლამაზი...

**არგენტინა** რომ მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ბევრი ლაპარაკი არ უნდა. არგენტინელები ფრანგთა მხარდამხარ ყველაზე შთამბეჭდავნი იყვნენ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში.

არგენტინელთა თავკაცი მარსელო ბიელსა თავადაც კარგ სამწვრთნელო ფორმაშია და მოწინავე ევროპულ კლუბებში მოთამაშე ვარსკვლავებითაც კმაყოფილია. მართალია, ბოლო ამხანაგურმა მატჩმა აფრიკის ჩემპიონ კამერუნის წინააღმდეგ, რომელიც ფრედ დასრულდა, გუნება გაუფუჭა მწვრთნელს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, ეს ამხანაგური მატჩი იყო და მეტი არაფერი. თანაც, არგენტინაში ახლა იმგვარი საქვეყნო კრიზისია, რომ ძნელია გუნდს ერთ სავარჯიშო თამაშში დიდი ბრძოლა მოსთხოვო.

ფინანსურ-პოლიტიკური კრიზისი, ამ ქვეყანას რომ დაატყდა თავს, არც ფეხბურთისთვის არის სასარგებლო. არგენტინაში შიშობენ, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა უარყოფითად იმოქმედებს მოთამაშეებზე.

თუმცა, ეს მაინც მეორადი საკითხია. მთავარია, ბიელსამ შეძლოს და საუკეთესო ფორმაში მიიყვანოს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე.

სამხრეთ ამერიკაში, ბიელსას ბრაზილიელთა ოდინდელ მწვრთნელს, მარიო ზაგალოს ადარებენ. ამბობენ, რომ ის ზაგალოსეულ ტაქტიკურ მონახაზს იყენებს, რომლის არსიც ისაა, რომ ორ თავდამსხმელს უკან მაღალნიჭიერი, ტექნიკური, მთელს მოედანზე მოქმედი ვარსკვლავი უნდა იდგეს. ზაგალოს ასეთად რივალდო ჰყავდა, ბიელსას კი ხუან ვერონი ჰყავს.

ბიელსას გუნდში სამი მცველი და ხუთი საუცხოო ნახევარმცველია. ამბობენ, რომ მწვრთნელი პირდაპირ იძულებულია ამგვარი სქემით ითამაშოს, რადგან დიდი ხანია არგენტინას არ ჰყოლია შუა მოედნის მოთამაშეთა ამგვარი თანავარსკვლავედი. არგენტინელთა ნახევარდაცვა გამართული ორკესტრივით მუშაობს და მშვენივრადაც ასრულებს მუსიკას. ტაქტიკური მონახაზი ყოველთვის ერთიდაიგივეა, მაგრამ შემსრულებელთა დიდოსტატობა წარმატების გარანტიაა. შეტევისას გუნდი ისე გარდაიქმნება ხოლმე, რომ მოედანზე ოთხი თავდამსხმელი გგონია. მოძრაობა და სწორი პოზიციური თამაში არგენტინელთა კოზირია.

არგენტინა სწორუპოვარია ორი რამის გამოც: გუნდი დაოსტატებულია ჯგუფურ თამაშში. ყოველმა მოთამაშემ იცის, სად გადაადგილდება მისი პარტნიორი და გუნდი იბრძვის მოედნის ყოველი გოჯისთვის ჯგუფური ართმევის ხერხებით. თანაც, არგენტინელები გამოირჩევიან სანიმუშო ფიზიკური მზადყოფნით.

არგენტინაში იციან, რომ ფანტასტიკური ფეხბურთელები ჰყავთ. სია გრძელია და მის გამოქვეყნებას სჯობს ვთქვათ, რომ რომაელი გაბრიელ ბატისტუტა და 2001 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი რომან რიკელმე ვერ ხვდებიან გუნდის სასტარტო შემადგენლობაში.

ბიელსას ნაკრებში კარგადაა შერწყმული არგენტინული ფეხბურთის ტრადიციული თვისებები, ტექნიკა და ნიჭი ევროპულ წესრიგსა და სისწრაფესთან.

ჯგუფი, რომელშიაც არგენტინა მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რბილად რომ ვთქვათ, რთულია. „მე მგონია, რომ მოქნილი და ინტელექტუალური შვედეთის ნაკრები ყველაზე სახიფათოა ჩვენს ჯგუფში", ამბობს ბიელსა, „შვედები ძალიან სწრაფად გადადიან მოედანს. ინგლისი, ტრადიციასა და მაღალ ზნეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, დიდი ვარსკვლავებითაა სავსე. ბექემი და ოუენი საგანგებოდ შესაკავებელი ხალხია. ნიგერიელებსაც უნდა ერიდო, ისინი ძალიან ნიჭიერები და უმართავნი არიან".

ბიელსას მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა ჯგუფში ყველა თამაში უნდა მოიგოს, რათა გამარჯვებულის განწყობით შეუდგეს პლეი ოფის რთულ გზას.

არგენტინაში კი ფიქრობენ, რომ სწორედ იმის გამო, რომ ქვეყანა ასეთ მძიმე დღეში ჩავარდა, ნაკრები ვალდებულია, მესამედ მოიპოვოს მსოფლიოს თასი და სიხარული მოუტანოს ერს.

**ირაკლი ბაზერაშვილი**



გაჭირვებულ არგენტინას რობერტო აიალა, ვალტერ სამუელი და კლაუდიო ლოპესილა (მარცხნიდან მარჯვნივ) თუ ახარებენ

## არის ასეთი ქვეყანა

არგენტინის გახსენებისას ხამს ილფის და პეტროვის „ოქროს კეჩპი" მოვიშველიოთ, სადაც ოსტაპ ბენდერს რიო დე ჟანეირო, ესე იგი, ბრაზილია აბოდებს, მაგრამ თავისი კომბინაციების წარმატებული დაგვირგვინებისას საბეჭდ მანქანასა და სამოვართან ერთად ტანგოს ცეკვავს და მღერის გალაკტიონურ სტრიქონებს: „მცხუნვარე ცის ქვეშ არგენტინისა, სადაც ლაჟვარდი გატყვევებს ცისა, სადაც ქალები სადარნი მზისა..." და ასე შემდეგ, ხოლო შეშლილი მოხუცი გეოგრაფი დაჟინებით კივის: „გამიშვით, გამიშვით, პამპასებში!.." პამპასი არგენტინის უთავბოლო ველია, რომელზეც გაუჩოები და პატაგონიელები დღესაც გამალებით დაჭენაობენ. გაუჩო სამხრეთის კოვბოის ჰქვია, მას ლასოს ხმარება ნიუ მექსიკოელ კოლეგაზე ნაკლებად როდი ეხერხება და პლუს კიდევ მსოფლიოს ტანგო აჩუქა, ხოლო პატაგონიელები სამხრეთის ინდიელები გახლავან, რომელთა ფეხმოკლეობა ჟიულ ვერნმა ასე აღწერა: პატაგონიელის სიმაღლე ჯდომისას 6 ფუტია და დგომისას — 5-იო.

| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | მ. ზაპოროჟიე 2:0 | 90 | 1 გოლი | 16 | 3 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | მ. ზაპოროჟიე 2:0 | 88 | შეცვალეს | 16 | 6 | 10 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | მ. ზაპოროჟიე 2:0 | 63 | შეცვალეს | 13 | 1 | 10 |
| ლევან მიქაძე | არსენალი | შ | დნიპრო 0:1 | 90 | | 16 | 0 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ტავრია 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 6 |
| **პოლონეთი. პლეი ოფი** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | კატოვიცე 2:0 | 90 | | 20 | 0 | 8 |
| **ბულგარეთი. პლეი აუტი** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ჩერნომორეცი 4:2 | 0 | | 15 | 2 | 10 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | პალადაში 0:1 | 86 | შეცვალეს | 19 | 1 | 10 |
| **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | პანაპაიკი 3:0 | 79 | 1 გოლი, შეცვალეს | 12 | 2 | 6 |
| **ისრაელი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ყიფიანი | მ. კირიათ გათი | ს | მ. თელ ავივი 1:1 | 0 | | ? | 1 | 11 |
| გოჩა ქოქოშვილი | მ. კირიათ გათი | ს | მ. თელ ავივი 1:1 | 90 | | ? | 0 | 11 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამზიძე | აელ | ს | ალკი 3:1 | 85 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 3 |
| გიორგი შენგელია | აპოლონი | შ | აეკ 2:0 | 90 | 2 გოლი, გააფრთხილეს | 8 | 6 | 5 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | არადიპუ 4:1 | 0 | | 13 | 4 | 11 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | შ | პაფოსი 1:4 | 90 | | 21 | 0 | 14 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# ხმელთაშუა, შავი ზღვა, ტრაპაიძე, გიგიაძე, ცოტაც სხვა

**საგაზაფხულოდ** ჩვენი უკრაინელი ლეგიონერები, ეტყობა, კარგ ფორმაში არიან. წინა ტურში იყო, ტავრიელმა ვასო გიგიაძემ ხარკოვის „მეტალისტს" ორი ბურთი რომ გაუტანა, გასულ შაბათს კი მოულოდნელად სიმფეროპოლელებმა ზაპოროჟიაში ირაკლი მოდებაძის „მეტალურგს" მოუგეს და იქაც ქართველი გამოირჩა.

ზაპოროჟიამდე ყირიმელებს ავტობუსით უმგზავრიათ და „ავტოზაზ-დეუს" სტადიონსაც თამაშის წინა სალამოს დაღლილები მისდგომიან, მაგრამ მაინც მასპინძლებზე გამძლეები გამოდგნენ. მატჩის ბედი ბოლო სამ წუთში გადაწყდა. 87-ზე გოჩა ტრაპაიძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მოუხომავად წინ გამოსულმა ზოლნამ მაინც მოახერხა დარტყმის მოგერიება, მაგრამ იქვე გაჩენილმა კრავჩენკომ ყველას დაასწრო. ორიოდ წუთში კი ტრაპაიძემ საწადელი მაინც აისრულა და სეზონში მესამე გოლი შეაგდო. გოლი გოლად და, გოჩა სტუმართაგან თამაშითაც გამოირჩეოდაო, წერენ ჩვენი უკრაინელი კოლეგები.

საბერძნეთში, „ირაკლისისგან" „პანაპაიკის" ძლევაში თავისი წვლილი ლევან ქებაძემაც შეიტანა. ირაკლისელებმა 3:0 გაიმარჯვეს, პირველი გოლი კი, 28-ე წუთზე ქართველის თავურს მოჰყვა. მეორე ტაიმში სტოლტიდისმა და ვაკუფცისმა თითოც დაამატეს და საქმეც ამით დამთავრდა. „ირაკლისს" მთელი მატჩის მანძილზე უდიდესი უპირატესობა ჰქონია და სამი ამდენი რომ ვერ გაიტანეს, მხოლოდ ბედის ამბავი ყოფილა.

კვიპროსში გიორგი შენგელიას დუბლმა „აპოლონს" ლარნაკას აეკ-თან გაამარჯვებინა. მე-11 წუთზე ქართველმა მილენკო სპოლიარიჩის ჩინებული პასი გამოიყენა და პირველი შეაგდო. მერე თურმე სტუმრები ბევრს უტევდნენ და რამდენჯერმე გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე შენგელიამ მეკარე კონსტანტინუს მეორეც გაუტანა და ვნებებიც ჩააცხრო. შედეგად, რვა კვიპროსულ შეხვედრაში გიორგის ექვსი გოლი მოუგროვდა.

ბულგარეთში ამირან მუჯირის „მარეკმა" ბურგასის „ჩერნომორეცს" 4:2 სტუმრად მოუგო. თამაშის მერე აღშფოთებულმა ბურგასელმა ფანებმა სტადიონზე რაღაც მიტინგისმაგვარი მოაწყვეს და მწვრთნელის მისამართით არაერთი „ტკბილი" სიტყვაც თქვეს, თუმცა ეს საქმეს რაღას უშველიდა. ამირანს იმ სალამოს არ უთამაშია, მაგრამ ბულგარეთის თემა დღეს საინტერესო იმით არის, რომ გასულ შაბათს იქ ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაიწყო. 14 გუნდი ორ ჯგუფად დაიყო, ზევქვსეული საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს, ქვედა რვა კი ლიგაში დასარჩენად. ელიტიდან სამი გუნდი ვარდება და ლუპნიცის „მარეკმა" ერთობ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ახლა მუჯირის გუნდი ბოლოდან მეხუთეზეა და მომდევნო ტურში აუტსაიდერ სტარა ზაგორას „ბეროეს" სტუმრობს.

დაბოლოს, გუშინ შევიტყვეთ, რომ დაშავებული შოთა არველაძე და ალექსანდრე იაშვილი უკრაინასთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებენ.

**სოლომონ გულისაშვილი**



„პანაპაიკის" რბევა ლევან ქებაძემ დაიწყო



მურაზ ფოლადიშვილის ფოტო

# 100

| ზვიად ენდელაძე | | | | 102 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | საირმე ბაღდათი | C | 32 | 24 |
| 1991 | საირმე ბაღდათი | C | 12 | 13 |
| 91-92 | სამტრედია | A | 36 | 18 |
| 92-93 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 20 | 4 |
| 93-94 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 11 | 1 |
| 94-95 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 29 | 17 |
| 95-96 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 30 | 40 |
| 96 | ლუჩი (რუსეთი) | B | 17 | 4 |
| 97 | ლუჩი (რუსეთი) | B | 13 | 2 |
| 97-98 | ოდიში ზუგდიდი | A | 25 | 6 |
| 98-99 | ოდიში ზუგდიდი | A | 11 | 6 |
| | მარგვეთი ზესტაფონი | B | 7 | 0 |
| 99-00 | მარგვეთი ზესტაფონი | B | 20 | 11 |
| 00-01 | გურია ლანჩხუთი | B | 30 | 9 |
| 01-02 | გურია ლანჩხუთი | A | 13 | 3 |
| | მეტალურგი ზესტაფონი | A | 6 | 7 |



1996. „მარგვეთი" — „სლიემა უონდერერსი" (მალტა). ზვიად ენდელაძეს (მარჯვნივ) „მარგვეთის" მაისურით უეფას თასზეც უთამაშია

*მეცამეტე ეროვნულის წინა ტურში უჩვეულო არა და, გამორჩეული ამბავი კი მოხდა: „მეტალურგი" — „გურიას" შეხვედრაში ზესტაფონელმა ზვიად ენდელაძემ ეროვნულ ჩემპიონატებში თავისი მე-100 გოლი გაიტანა, თანაც, ესაც არ იკმარა, საიუბილეოს ორიც მიაყოლა. ეს 7 აპრილს მოხდა, ფეხბურთელის დაბადების დღეს. ენდელაძეს 36 წელი შეუსრულდა და უკეთეს საჩუქარს საკუთარ თავს ვერც მიუძღვნიდა.*

*იუბილარს ნამატჩევს გავესაუბრეთ. ცხადია, ჯერ დაბადების დღე და 100-ანთა კლუბში გაწევრიანება მივულოცეთ.*

# ნახევარმცველი გოლის ყნოსვით

**— ზვიად, მეთერთმეტე ფეხბურთელი ხარ, ვინაც ეროვნულში 100 გოლი გაუტანია.**

— ძალიან მიხარია ეს ამბავი, უფრო მეტად იმის გამო, რომ დაბადების დღეს დაემთხვა.

**— რამდენი ხანია, რაც ფეხბურთს თამაშობ?**

— საკმაოდ დიდი.

**— მაინც?**

— მაშინ ყველაფერს თავიდან მოვყვები. ადიგენში დავიბადე და ბურთიც პირველად იქ გავაგორე. ათი წლის ვიყავი, როცა გლდანის საფეხბურთო სკოლა-ინტერნატში მიმიღეს. შვიდი წლის განმავლობაში თენგიზ ხვადაგიანი გახლდათ ჩემი მწვრთნელი და ამ კაცისგან ბევრიც ვისწავლე. სკოლა-ინტერნაში სწავლა რომ დავასრულე, ადიგენში დავბრუნდი, საქართველოს პირველობაზე „ზარზმაში" დავიწყე თამაში. ერთი სეზონი ვიყავი ამ გუნდში, მერე ჯარში გამიწვიეს. სამხედრო სამსახურის შემდეგ ცოტა ხანს ისევ „ზარზმაში" ვითამაშე, იქიდან კი რუსთავის „მეტალურგში" მოვხვდი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდიოდა. ეს 1988 წელს იყო. პირველ სეზონში ბევრი არ მითამაშია, სამაგიეროდ, მეორეში გივი ნოდია ხშირად მაყენებდა ძირითადში და მეც, რაც შემეძლო, ვშრომობდი. 27 მატჩში 8 ბურთი გავიტანე. ნახევარმცველისთვის ურიგო შედეგი არ იყო და „დინამოში" გადასვლის პერსპექტივა გამიჩნდა, ოღონდ მაშინ ბედმა მიმტყუნა, ავტოავარიაში მოვყევი, მარცხენა ფეხი მოვიტეხე. გეგმები აირია, მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა, ჩვენი ოჯახი ბაღდათში გადავიდა საცხოვრებლად. მკურნალობამ კარგა ხანს გასტანა. როგორც იქნა, ფეხი მოვირჩინე და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფის გუნდში, „საირმეში" გავაგრძელე თამაში, თანდათან აღვიდგინე ფორმა.

**— მესამე ეროვნულში „სამტრედიაში" მიგიწვიეს.**

— დიახ, მურთაზ ხურცილავა თავკაცობდა „სამტრედიას". ხურცილავა ჯერ კიდევ სკოლა-ინტერნატიდან მიცნობდა, როცა იქ უფროს მწვრთნელად მუშაობდა. ეტყობა, ჩემი სჯეროდა და, ვფიქრობ, მისი ნდობა გავამართლე. სხვათა შორის, ხურცილავამ ხუთი წლის შემდეგაც მიმიწვია თავისთან „ოდიშში". ზუგდიდში იმ პერიოდში მართლა კარგი გუნდი შეიკრიბა, კლუბის პრეზიდენტს რომ არ დავეღალატებინეთ, უთუოდ არ დავრჩებოდით.

**— ეს მოგვიანებით იყო, მანამდე „მარგვეთში" თამაშობდი, რუსეთშიც მოასწარი ბურთაობა.**

— „მარგვეთის" შემადგენლობაში ჩემს კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას მივაღწიე. 1995-96 წლების ჩემპიონატში ჩვენი გუნდი ვერცხლის პრიზიორი გახდა, მე კი ყველაზე მეტი — 40 გოლი გავიტანე. თანაც „მარგვეთმა" უეფას თასზე ითამაშა, ოღონდ მალტურ გუნდთან საპასუხო მატჩის გახსენება ხასიათს მიფუჭებს. დღემდე ვერ გამიგია, რა დაგვემართა. სტუმრად 3:1 მოვიგეთ და შინ ამხელა უპირატესობა გავფლანგეთ, 0:3 წავაგეთ. ამის შემდეგ რუსულ „ლუჩში" მომიწია თამაში. ვლადივოსტოკში წელიწადს დავრჩი, მეტი ვერ გავძელი, იქაური პირობები არ მაკმაყოფილებდა. საქართველოში დავბრუნდი და, როგორც ვთქვი, ხურცილავამ „ოდიშში" წამიყვანა. მერე პირველ ლიგაში ჩამოქვეითებულმა „მარგვეთის" პრეზიდენტმა ვასილ ხაჭაპურიძემ მთხოვა გუნდს დავხმარებოდი, შემდეგ იყო „გურია", ახლა კი ისევ ზესტაფონში ვარ.

**— თავდამსხმელი არასოდეს ყოფილხარ?**

— არა, სადაც კი მითამაშია, ნახევარმცველად. ხურცილავა მარჯვენა ფრთაზე მაწესებდა, ზაურ ჩუბინიძე კი „მარგვეთში" მარცხნიდან მათამაშებდა და ახლაც ამ პოზიციაზე მამჯობინებს.

**— ერთ სეზონში 40 გოლის გატანა ნახევარმცველისთვის ძნელი არ იყო?**

— იმ ხანად საუკეთესო ფორმაში ვიყავი, გოლის საოცარი ყნოსვა მქონდა, ლამის ყველა დარტყმული კარში გადიოდა. 60-საც გავიტანდი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იყო შემთხვევები, თანაგუნდელები და, რაღა დავმალო, მსაჯებიც, თამაშის დროს იმას მეუბნებოდნენ, ნამეტანს ნუ იზამო. ასე იყო, გატანას მიშლიდნენ.

**— ყველაზე მნიშვნელოვან გოლად რომელი მიგაჩნია?**

— რუსთავში „მეტალურგს" რომ გავუტანე 1995-96 წლების ჩემპიონატის ბოლო ტურში. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი გუნდი მეორე ადგილს და ამასთან ერთად უეფას საგზურს ეუფლებოდა. მეტოქესაც ასეთი პერსპექტივა ჰქონდა წარმატების შემთხვევაში. რა დამავიწყებს, ჩვენმა სათადარიგო მეკარემ მამუკა ნიქაბერიძემ თამაშის დაწყებამდე გასახდელში ბუცები დამიკოცნა, შესვენებაზეც იგივე გაიმეორა. მძიმე ბრძოლა იყო. თამაშის დამთავრებამდე 8 წუთი რჩებოდა, გამარჯვების რომ შევაგდე. მოტრიალებაც ვერ მოვასწარი, რომ მწვრთნელი და თანაგუნდელები გადამეხვივნენ, ძირს მომაქციეს. მატჩის არბიტრი თამაზ ლაცაბიძე მომეშველა, თორემ ამ სასიხარულო ხორიალში გავიგუდებოდი. ბევრი გამიტანია, მაგრამ ეს გოლი გამორჩეული იყო.

**— დამეთანხმები, მარტო ენდელაძე მოედანზე ვერაფერს გახდება, კარგი პარტნიორიც ბევრს ნიშნავს.**

— მართალია, კარგი პარტნიორების გარეშე ბურთაობა ძნელია, ბევრის უსიტყვოდ მესმოდა და ახლაც მიწევს ასეთებთან თამაში, ოღონდ ვინმე რომ არ გამომრჩეს, გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**— ქართულ ფეხბურთში კვალი ისედაც დატოვებული გაქვს, მაგრამ მეტი ხომ არ შეგეძლო?**

— ალბათ. ტრავმებს რომ არ გავეწამებინე, უფრო კარგ ფეხბურთს ვითამაშებდი. „დინამოში" მიწვევდნენ, ამ გუნდში თავის გამოჩენაზე ვოცნებობდი, მაგრამ არ დამცალდა.

**— გამოცდილი კაცი ხარ, შენი აზრი ეროვნულ ნაკრებზე?**

— ალექსანდრე ჩივაძის ხელში ნაკრებში სასიკეთო ცვლილებები ხდება. ღმერთმა ქნას, ასე გაგრძელდეს, პოტენციალი არის და ის გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს.

**— „მეტალურგზე" გვითხარი. შეძლებს გუნდი უმაღლესში ადგილის შენარჩუნებას?**

— სხვა გზა არ გვაქვს, უნდა ვეცადოთ და შევძლოთ, ხელმძღვანელობას ყურადღება დავუფასოთ.

**— 36 წელი ცოტა არ არის, თუმც, ეტყობა, ფეხბურთიდან წასვლას არ ჩქარობ.**

— რატომ უნდა ვიჩქარო. ვითამაშებ სანამ შემეძლება, სანამ ქომაგი ტრიბუნიდან არ დამისტვენს. ჯერჯერობით ამის საშიშროებას ვერ ვხედავ. ჯანი და მონდომება არ მაკლია. მერე ბიჭი მეზრდება და...

**— რამდენი წლისაა?**

— რვის, ავთანდილი ჰქვია. უკვე ვარჯიშობს. მე, რაც შემეძლება, ხელს შევუწყობ, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**— შენ კი 102-ზე არ გაჩერდები.**

— ნამდვილად არ ვაპირებ.

**იუზა ძაძიძაძე**

| ზურაბ იონანიძე | | | | 142 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | სამგურალი წყალტუბო | A | 19 | 1 |
| 1991 | სამგურალი წყალტუბო | A | 13 | 3 |
| 91-92 | სამგურალი წყალტუბო | A | 35 | 11 |
| 92-93 | ტორპედო ქუთაისი | A | 29 | 14 |
| 93-94 | სამტრედია | A | 31 | 14 |
| 94-95 | სამტრედია | A | 25 | 12 |
| 95-96 | სამტრედია | A | 15 | 23 |
| 1996 | ჟემჩუჟინა სოჭი (რუსეთი) | A | 24 | 7 |
| | ჟემჩუჟინა 2 სოჭი (რუსეთი) | D | 1 | 2 |
| 1997 | ლოკომოტივი ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი) | A | 7 | 1 |
| 97-98 | ტორპედო ქუთაისი | A | 10 | 3 |
| 98-99 | ტორპედო ქუთაისი | A | 24 | 16 |
| 99-00 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 25 |
| 00-01 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 11 |
| 01-02 | ტორპედო ქუთაისი | A | 21 | 9 |

| ლევან ხომერიკი | | | | 129 |
|---|---|---|---|---|
| 1991 | ბათუმი | A | 6 | 0 |
| 91-92 | ბათუმი | A | 29 | 12 |
| 92-93 | ბათუმი | A | 30 | 22 |
| 93-94 | ბათუმი | A | 15 | 14 |
| 94-95 | დინამო თბილისი | A | 11 | 6 |
| 95-96 | დინამო თბილისი | A | 18 | 8 |
| | დინამო 2 თბილისი | B | 1 | 2 |
| 96-97 | დინამო თბილისი | A | 26 | 18 |
| 97-98 | დინამო თბილისი | A | 26 | 23 |
| 98-99 | დინამო თბილისი | A | 5 | 8 |
| | ბათუმი | A | 9 | 10 |
| 99-00 | ბათუმი | A | 14 | 8 |
| 00-01 | აარაუ (შვეიცარია) | A | 9 | 3 |
| 01-02 | აარაუ (შვეიცარია) | A | 3 | 0 |

| მიხეილ აშვეთია | | | | 121 |
|---|---|---|---|---|
| 93-94 | ტორპედო 2 ქუთაისი | C | 24 | 11 |
| 94-95 | რწმენა ქუთაისი | C | 7 | 6 |
| | სამგურალი წყალტუბო | A | 14 | 5 |
| 95-96 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 31 |
| 96-97 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 24 |
| 1997 | ალანია ვლადიკავკაზი (რუსეთი) | A | 18 | 5 |
| 97-98 | დინამო თბილისი | A | 15 | 11 |
| 98-99 | დინამო თბილისი | A | 28 | 26 |
| 99-00 | დინამო თბილისი | A | 13 | 12 |
| 2000 | ალანია ვლადიკავკაზი (რუსეთი) | A | 20 | 7 |
| 00-01 | ტორპედო ქუთაისი | A | 10 | 4 |
| 01-02 | ტორპედო ქუთაისი | A | 6 | 8 |
| | კოპენჰაგენი (დანია) | A | 4 | 0 |

| დავით ჯანაშია | | | | 119 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | ქუთაისი | A | 29 | 4 |
| 1991 | ქუთაისი | A | 16 | 6 |
| 91-92 | ქუთაისი | A | 34 | 19 |
| 92-93 | ტორპედო ქუთაისი | A | 31 | 15 |
| 93-94 | სამტრედია | A | 30 | 14 |
| 94-95 | სამტრედია | A | 21 | 11 |
| 95-96 | სამტრედია | A | 15 | 8 |
| 96 | ჟემჩუჟინა სოჭი (რუსეთი) | A | 31 | 1 |
| 97 | ჩერნომორეცი (რუსეთი) | A | 3 | 0 |
| 97-98 | ტორპედო ქუთაისი | A | 18 | 9 |
| 98-99 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 14 |
| 99-00 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 12 |
| 00-01 | ტორპედო ქუთაისი | A | 23 | 6 |
| 01-02 | ლოკომოტივი თბილისი | A | 6 | 0 |
| | ბათუმი | A | 6 | 1 |

| ოთარ კორღალიძე | | | | 105 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | გურია ლანჩხუთი | A | 31 | 21 |
| 1991 | გურია ლანჩხუთი | A | 18 | 14 |
| 91-92 | გურია ლანჩხუთი | A | 35 | 40 |
| 92-93 | ალაზანი გურჯაანი | A | 27 | 23 |
| 93-94 | გურია ლანჩხუთი | A | 5 | 4 |
| | კაზინო ზალცბურგი (ავსტრია) | A | 3 | 0 |
| | ვინერ შპორტკლუბი (ავსტრია) | A | 18 | 0 |
| 94-95 | ვინერ შპორტკლუბი (ავსტრია) | A | 5 | 3 |
| | დინამო თბილისი | A | 5 | 1 |
| | ნეფთჩი ბაქო (აზერბაიჯანი) | A | 4 | 2 |
| 95-96 | ფლორა ტალინი (ესტონეთი) | A | 8 | 3 |
| 96-97 | გურია ლანჩხუთი | A | 13 | 2 |
| | ოდიში ზუგდიდი | A | 3 | 0 |
| 97-98 | ასკ თბილისი | მწვრთნელი | | |
| 98-99 | არსენალი თბილისი | მწვრთნელი | | |
| 99-00 | დინამო თბილისი | მწვრთნელი | | |
| 2000 | ფლორა ტალინი | კონსულტანტი | | |
| | კურესაარე (ესტონეთი) | A | 1 | 0 |
| 00-01 | ლოკომოტივი თბილისი | თანაშემწე | | |
| 01-02 | დინამო თბილისი | თანაშემწე | | |
| | დინამო 2 თბილისი | მწვრთნელი | | |

| გიორგი დარასელია | | | | 105 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | ქუთაისი | A | 26 | 3 |
| 1991 | ქუთაისი | A | 17 | 5 |
| 91-92 | ქუთაისი | A | 36 | 9 |
| 92-93 | ტორპედო ქუთაისი | A | 31 | 15 |
| 93-94 | კოლხეთი ფოთი | A | 29 | 17 |
| 94-95 | კოლხეთი ფოთი | A | 26 | 26 |
| 95-96 | სამტრედია | A | 26 | 13 |
| 96-97 | კოლხეთი ფოთი | A | 28 | 15 |
| 97-98 | ჰაპოელი თელ ავივი (ისრაელი) | A | 29 | 6 |
| 98-99 | კოლხეთი ფოთი | A | 0 | 0 |
| | იბერია სამტრედია | A | 8 | 2 |
| | ცაფრირიმი ჰოლონი (ისრაელი) | A | 26 | 7 |
| 99-00 | კოლხეთი ფოთი | A | 0 | 0 |
| | ჰაპოელი ქფარ საბა (ისრაელი) | A | 38 | 8 |
| 00-01 | ჰაპოელი ქფარ საბა (ისრაელი) | B | 33 | 9 |
| 01-02 | ჰაპოელი ქფარ საბა (ისრაელი) | B | 14 | 3 |

| მერაბ მეგრელაძე | | | | 104 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | ქუთაისი | A | 5 | 5 |
| 1991 | გურია ლანჩხუთი | A | 13 | 3 |
| 91-92 | გურია ლანჩხუთი | A | 25 | 6 |
| 92-93 | სამგურალი წყალტუბო | A | 31 | 41 |
| 93-94 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 31 | 31 |
| 94-95 | ტორპედო ქუთაისი | A | 13 | 5 |
| 95-96 | სამგურალი წყალტუბო | B | 38 | 31 |
| 96-97 | ტორპედო ქუთაისი | A | 22 | 13 |
| 97-98 | ტორპედო ქუთაისი | თანაშემწე | | |
| 1998 | | | | |
| 1999 | ჩკალოვეცი ნოვოსიბირსკი (რუსეთი) | C | ? | 8 |
| 2000 | | | | |
| 2001 | | | | |
| 01-02 | მერცხალი ოზურგეთი | მწვრთნელი | | |

| პაატა მაჭუტაძე | | | | 104 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | ბათუმი | A | 24 | 8 |
| 1991 | მერცხალი ოზურგეთი | A | 8 | 2 |
| 91-92 | ბათუმი | A | 35 | 1 |
| 92-93 | ბათუმი | A | 17 | 1 |
| 93-94 | ბათუმი | A | 28 | 19 |
| 94-95 | ბათუმი | A | 25 | 19 |
| 95-91 | ბათუმი | A | 18 | 5 |
| 96-97 | ბათუმი | A | 4 | 1 |
| 97-98 | ბათუმი | A | 23 | 15 |
| 98-99 | ბათუმი | A | 20 | 11 |
| 99-00 | ბათუმი | A | 23 | 5 |
| 00-01 | ბათუმი | A | 12 | 7 |
| 01-02 | ბათუმი | A | 23 | 10 |

| ივანე ჯელელი | | | | 102 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | კოლხეთი ფოთი | A | 15 | 6 |
| | ქუთაისი | A | 15 | 5 |
| 1991 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 18 | 3 |
| 91-92 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 38 | 27 |
| 92-93 | მარგვეთი ზესტაფონი | A | 29 | 22 |
| 93-94 | კოლხეთი ფოთი | A | 24 | 16 |
| 94-95 | კოლხეთი ფოთი | A | 11 | 8 |
| | ტემპი შეპეტოვკა (უკრაინა) | A | 16 | 2 |
| 95-96 | ზარია-მალს ლუგანსკი (უკრაინა) | A | 17 | 3 |
| 96-97 | ტავრია სიმფეროპოლი (უკრაინა) | A | 13 | 4 |
| 1997 | მეტალურგსი ლიეპაია (ლატვია) | A | 9 | 2 |
| | დაუგავა რიგა (ლატვია) | A | 6 | 0 |
| 97-98 | ტავრია სიმფეროპოლი (უკრაინა) | A | 13 | 2 |
| 98-99 | მიკოლაივი (უკრაინა) | A | 5 | 0 |
| | პრიკარპატიე ივანო ფრანკივსკი (უკრაინა) | A | 4 | 0 |
| | სამგურალი წყალტუბო | A | 0 | 0 |
| 99-00 | ლოკომოტივი თბილისი | A | 11 | 8 |
| 00-01 | გურია ლანჩხუთი | B | 10 | 4 |
| | გორდა რუსთავი | A | 7 | 3 |

| დავით მახარაძე | | | | 101 |
|---|---|---|---|---|
| 1990 | კოლხეთი ფოთი | A | 32 | 18 |
| 1991 | კოლხეთი ფოთი | A | 17 | 10 |
| 91-92 | კოლხეთი ფოთი | A | 0 | 0 |
| | ალკი ლარნაკა (კვიპროსი) | A | 23 | 2 |
| 92-93 | კოლხეთი ფოთი | A | 23 | 8 |
| 93-94 | კოლხეთი ფოთი | A | 20 | 20 |
| 94-95 | კოლხეთი ფოთი | A | 18 | 5 |
| 95-96 | ბათუმი | A | 15 | 7 |
| 96-97 | ბათუმი | A | 3 | 1 |
| | კოლხეთი ფოთი | A | 13 | 10 |
| 97-98 | კოლხეთი ფოთი | A | 10 | 1 |
| 98-99 | გურია | A | 27 | 21 |



21 ქულა: ვლადიმერ ბოისამ (№7) ოლიმპიური რეკორდი დაიმყარა

# ბოისას ჰრასნიკი შემოერეკორდა

*ვლადიმერ ბოისამ კვირას თავის ოლიმპიურ კარიერაში უმეტესი, 21 ქულა ჩააგდო. ლიუბლიანელებს სლოვენიის თასის მეოთხედფინალში მეტოქედ ქვემოლიგელი „ჰრასნიკი“ კი ჰყავდათ, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ბოისამ დაამტკიცა: მასაც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში.*

*ზმაგო საგადინის გუნდმა სამ დღეში, სტუმრად და შინ, ნახევარფინალის ვითომმოცილე „ჰრასნიკი“ იავარჰყო, ჯამში 75 ქულით აჯობა და ახლა კენჭისყრას ელის, რამაც შესაძლოა, მეტოქედ უგრეხელიძისა და ტულუშის „სლოვანი“ არგუნოს. თავის მხრივ, სლოვანელებმა ორი მატჩის ჯამში „ზიდარი“ ჩამოიშორეს გ ზიდან, მაგრამ ამაზე სხვა დროს, ახლა კი შევიტყოთ ბოისას ამბები, ვისთანაც ზემოთქმულის გარდა, „ოლიმპიას“ ფინანსურ პრობლემათა გათვალისწინებით, საკმაო კითხვები დაგვიგროვდა.*

— თუ არ ვცდები, 21 ქულა „ოლიმპიაში“ არ ჩაგიგდიათ...

— მგონი, ასეა... მგონი კი არა, ნამდვილად ასეა. ისე, სიმართლე გითხრათ, მაგაზე არც მიფიქრია. საგადინმა მათამაშა და...

**— რატომ, არ გათამაშებთ ხოლმე?**

— კი, მაგრამ მცირე ხნით. 10-15 წუთი შევყავარ და ქულებსაც ცოტას ვაგროვებ.

**— ამჯერად საკმაო ხნით გენდოთ?**

— მეოთხედფინალში მეტოქედ ქვემოლიგელი გვყავდა, თუმც „ჰრასნიკს“ ხელწამოსაკრავად არავინ მიიჩნევდა. მათ აქამდე „ზაგორიე“ და „როგლა“ გამოთიშეს და საერთოდ, შინაურ კედლებში ნებისმიერის დამარცხება შეუძლიათ.

პირველი მატჩი პარასკევს ჰრასნიკში გვქონდა. მწვრთნელმა 28 წუთი მათამაშა და ჩინებულად გამომივიდა. 11 ქულა კი დავაგროვე, მაგრამ გაცილებით სასარგებლო ვიყავი. თავიდან თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ მერე და მერე კლასმა თავისი გაიტანა და მეტოქე 84:59 დავჯაბნეთ. მინდა ვთქვა, რომ ამ მატჩში ჩემი თამაშით უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე კვირის შეხვედრაში, როცა 21 ქულა ჩავაგდე.

**— საპასუხო შეხვედრაში სასტარტოში იყავით?**

— კი. ამის მიზეზი წინა მატჩში ჩემი კარგი თამაშის გარდა ისიც იყო, რომ საგადინმა წამყვანი კალათბურთელები დაასვენა. მუეძინოვიჩი, ზდოვცი, ავოჯობი მწვრთნელმა არ ათამაშა, რადგან ცხადი იყო, ისედაც იოლად მოვიგებდით. 22 წუთში 21 ქულა მოვაგროვე. თქვენ რომ არ გეკითხათ, ქულათა ეს რაოდენობა ჩემი მაქსიმუმია თუ არა, რაც აქ ვთამაშობ, არც დავფიქრდებოდი.

**— გავიგეთ, „ოლიმპიას“ ფინანსური პრობლემები შექმნია...**

— მართლაც სერიოზულადაა საქმე. სახელფასო ფონდი 4 თვეა, გაყინული გვაქვს და გუნდს მოთამაშეების საკმაო ვალი დაუგროვდა. გვაიმედებენ, ყველაფერი მალე მოგვარდებაო.

**— სხვათა ვალიც ხომ აქვს „ოლიმპიას“?**

— გადახდის ვადას უკვე გადასცდა და სერიოზული პრობლემებიც არ აგვცდებოდა, მაგრამ ორიოდ დღის წინ ხელმძღვანელობა რამდენიმე ბანკს გაურიგდა, რომლებმაც დავალიანებათა დაფარვა იკისრეს. ამათ კი მოგვიანებით ჩვენი სპონსორები გადაუხდიან, რომლებმაც გაჭირვებაში არ მიგვატოვეს და კვლავაც გვერდში გვიდგანან. მათ შორის უდიდესი „უნიონ პივოვარნაა“. იგი ჩვენი ოფიციალური სპონსორია და დავალიანებების დაფარვის სანაცვლოდ მაღალ შედეგებს მოითხოვს. ცხადია, შინაური სარბიელი ანგარიშში არ ითვლება.

**— ევროლიგაში ხომ ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგეთ...**

— მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლაც კარგი შედეგია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტი სჯობს. ამაზე მომავალი სეზონიდან ვიბრძოლებთ.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ინდუსტრიააშენებულმა ავტოქარხნელებმა პირველებმა დააპიპინეს

8 აპრილი

**ინდიანა 99:111 კლივლენდი**

ინდიანა: ბენდერი (20), ონილი (18), რ. მილერი (17)

კლივლენდი: დევისი (32), ილგაუსკასი (20 ქულა, 11 მოხსნა)

**სან ანტონიო 99:87 პორტლენდი**

სან ანტონიო: დანკანი (24), სმიტი (19), რობინსონი (14)

პორტლენდი: სტუდემაიერი (23)

**დეტროიტი 105:99 ატლანტა**

დეტროიტი: ეტკინსი (20), რობინსონი (19), რებრაჩა (18 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაფარება), სტეკჰაუზი (18 ქულა, 12 პასი)

ატლანტა: ტერი (24 ქულა, 12 პასი), აბდურ-რაჰიმი (23), მუჰამედი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა 96:105 დალასი**

იუტა: მელოუნი (22), სტოქტონი (17)

დალასი: ფინლი (20), ვან ექსელი (20), ნეში (17)

**ჩიკაგო 105:100 ბოსტონი**

ჩიკაგო: ფიზერი (21), პასელი (18), კროუფორდი (17)

ბოსტონი: უოლკერი (33), პირსი (24 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი 102:100 კლიპერსი**

სიეტლი: მეისონი (36), პეიტონი (22 ქულა, 13 პასი)

კლიპერსი: ბრენდი (22), პიატკოვსკი (22), მაკინისი (16)

**ორლანდო 83:74 ჰიუსტონი**

ორლანდო: მაკგრეიდი (22 ქულა, 10 მოხსნა), მილსონი (19)

ჰიუსტონი: ფრენსისი (29)

**გოლდენ სტეიტი 93:100 მინესოტა**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (25), რიჩარდსონი (21), სურა (18)

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 12 მოხსნა), შჩერბიაკი (21)

ეიფორიაშია ავტოქალაქი დეტროიტი. მართალია, „ატლანტასთან“ დიჭიდებულ „დგუშებს“ ქვის კაცი ბენ ვოლესი არა ჰყავდათ. მაგრამ იუგოსლაველი ძელკო რებრაჩა დაიხმარეს, მოიგეს და 1990 წლის შემდეგ პირველად იპირველეს ცენტრალურ დივიზიონში.

სამაგიეროდ, გული გასტეხიათ დეტროიტის სამხრეთ მეზობელ ინდიანაპოლისში. მტერი ვერ შეამთხვევდა „ინდიანას“ იმდენ ავს, რამდენიც საკუთარ თავს დამართა. მეპლეიოფე რვეულიდან „ტორონტოსგან“ გამოპანღურებულმა აიზია ტომასის ბავშვებმა „კლივლენდთან“ უცილობელი გამარჯვება დაგეგმეს. წესით, უნდა მიეღწიათ კიდეც მიზნისთვის, მეტოქედ ხომ უნიათო ჰყავდათ, მაგრამ რაღაც მანქანებით წაგება მოახერხეს და „ტორონტოს“ ერთ ნაბიჯზე მეტით ჩამორჩნენ. „კლივლენდი“ კი ქებას იმსახურებს, რამეთუ ამ ფარლალალა გუნდმა გადამწყვეტ, მეოთხე მეოთხედში რიგიანად დაიცვა საკუთარი კალათი, ხოლო შეტევაში სულ ზურგზე მტვერი ააღინა მარცხით და მისი შედეგების გააზრებით დაზაფრულ ინდიანაპოლისელებს.

სანამ აღმოსავლეთი შუა საპლეიოფო მღელვარებაშია, 8 აპრილის მატჩებმა რვავე დასავლელი მეპლეიოფე გამოავლინა და ამიერიდან შიდაელიტარული გადაადგილებები თუ გააჩენს ინტრიგას.

სიეტლში იქაური „სიეტლის“ ბიჭუნა იმდმა დესმონდ მეისონმა „კლიპერსს“ კარიერაში უმეტესი 36 ქულა (აქედან 22 მეორე ტაიმში) ჩაუგდო, თავის გუნდს მოაგებინა და პლეი ოფში დაუმკვიდრა ადგილი. „კლიპერსი“ კი საბოლოოდ ჩამოშორდა საპლეიოფო მარათონს და თავისი მარცხით მწვანე შუქი აუნთო „იუტა ჯაზს“. ამ უკანასკნელმა თუმც წააგო, მაინც მოიშორა აბეზარი „კლიპერსი“ და ახლა მშვიდად დაელოდება ამ უსაშველოდ გაჭიმული რეგულარული ჩემპიონატის დასრულებას.

დასავლეთში მაინც იმართება და გაიმართება ნერვების დამწყვეტი ბრძოლები. მაგალითად, ისეთები, სან ანტონიომ რომ უმასპინძლა. „პორტლენდი“ კარგა ხანია, მეხუთე დასავლური ადგილისა და საპლეიოფო ბატალიების პირველ წრეში „სან ანტონიოსთან“ შეწყვილებისთვის იბრძვის, რადგან სხვებზე იოლ მეტოქედ მიაჩნია. გუშინწინ გამოჩნდა, რომ „სან ანტონიო“ არავისზე იოლი დასაჯაბნი არაა.

„სფურზი“ თავიდანვე მიეძალა „პორტლენდს“, პირველ ტაიმში 16 ქულა აწაპნა და მესამე მეოთხედის დასაწყისისთვის 19 ქულითაც გაექცა, რითაც საქმე მოთავებულად ჩათვალა და ხელები დაიფერთხა. სტუმრები პირიქით მოიქცნენ, ხელები დაიკაპიწეს და „სფურზის“ კალათში ბურთების ყრას უხშირეს. რალაცას თითქოს მიაღწიეს კიდეც, ბოლო წუთებისთვის სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირეს, მაგრამ მასპინძლებმა დროულად წაართვეს ძილს თავი და ამაზე ახლოს მეტოქე აღარ გაიკარეს.

წლეულს გავარსკვლავებულ მინესოტელ ვალი შჩერბიაკს ამასწინათ კლუბ „გოლდენ სტეიტის“ ყველა თანამშრომლისთვის, მწვრთნელებისთვის და მოთამაშეებისთვის მასხარათა კრებული უწოდებია, რითაც მშფოთვარე სანფრანცისკოელები ფრიად აუტორტმანებია. ტრიბუნებმა მთელი მატჩის განმავლობაში უსტვინეს შჩერბიაკს და თუმც გული მოიოხეს, „გოლდენ სტეიტს“ ამით ვერაფერი უშველეს. შჩერბიაკმა თავის წილ 21 ქულა გაულაწუნა მასხარათა კრებულს, მის გულშემატკივრებს და „მინესოტას“ თავის აუტკივებლად 100:93 მოაგებინა.

**ირაკლი ფირუზიშვილი**




„დივიზიონში პირველები ვართ!“ — ჯერი სტეკჰაუზის წინამძღოლობით ხარობენ დეტროიტელები



## NHL რეგულარული ჩემპიონატი



50-მეტიან ზღვარს წლეულს პირველი კალგარელი ჯერომ იგინლა გასცდა

8 აპრილი

**ლოს ანჯელესი 3:0 დალასი 1:0 0:0 2:0**

1:0 დედმარში (12), 2:0 პალფი (53), 3:0 სმოლინსკი (60)

**მინესოტა 3:1 სან ხოსე 1:0 1:0 1:1**

1:0 დიუპუი (8), 2:0 პარკი (27), 2:1 მარლო (43), 3:1 ვოლტოკი (60)

**აილენდერსი 1:2 კაროლინა 1:1 0:0 0:1**

1:0 ჰამრლიკი (9), 1:1 კაპანენი (17), 1:2 ბრინდამორი (46)

**ტორონტო 4:1 კოლუმბუსი 3:0 1:1 0:0**

1:0 რაიხელი (3), 2:0 ლუმე (4), 3:0 მოგილნი (15), 4:0 მაკეიბი (32), 4:1 კნუტსენი (37)

**ფილადელფია 4:4 ფლორიდა 1:2 2:1 1:1 0:0**

1:0 ლეკლერი (9), 1:1 დალენე (10), 1:2 პუსკოლიუსი (16), 2:2 რეკი (23), 2:3 ოზოლინში (23), 3:3 კ. იონსონი (26), 4:3 განიე (56), 4:4 დალენე (60)

**რეინჯერსი 3:2 პიტსბურგი 0:0 1:1 2:1**

1:0 პ. ბურე (24), 1:1 პრედინა(35), 2:1 პ. ბურე (55), 3:1 ლინდროსი (57), 3:2 ფერუნსი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | | | | |
| ბოსტონი | 79 | 42 | 5 | 9 | 23 | 227:194 98 |
| ფილადელფია | 79 | 41 | 10 | 3 | 25 | 231:187 95 |
| კაროლინა | 79 | 33 | 15 | 5 | 26 | 208:212 86 |
| ტორონტო | 79 | 40 | 10 | 4 | 25 | 232:201 94 |
| ოტავა | 79 | 38 | 9 | 7 | 25 | 234:199 92 |
| აილენდერსი | 79 | 39 | 8 | 4 | 28 | 228:216 90 |
| ნიუ ჯერსი | 79 | 38 | 9 | 4 | 28 | 195:182 89 |
| მონრეალი | 79 | 35 | 12 | 3 | 29 | 201:198 85 |
| რეინჯერსი | 80 | 36 | 4 | 4 | 36 | 224:249 80 |
| ვაშინგტონი | 79 | 34 | 11 | 1 | 33 | 219:234 80 |
| ბუფალო | 79 | 34 | 10 | 1 | 34 | 205:193 79 |
| პიტსბურგი | 79 | 28 | 7 | 5 | 39 | 191:233 68 |
| ტამპა | 78 | 26 | 10 | 4 | 38 | 170:208 66 |
| ფლორიდა | 79 | 22 | 9 | 5 | 43 | 173:240 58 |
| ატლანტა | 79 | 19 | 9 | 4 | 47 | 177:277 51 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | | | | |
| დეტროიტი | 79 | 51 | 9 | 3 | 16 | 243:176 114 |
| კოლორადო | 79 | 44 | 7 | 1 | 27 | 206:164 96 |
| სან ხოსე | 79 | 42 | 8 | 3 | 26 | 239:191 95 |
| ჩიკაგო | 78 | 40 | 12 | 1 | 25 | 209:198 93 |
| ლოს ანჯელესი | 79 | 39 | 11 | 4 | 25 | 210:182 93 |
| სენტ ლუისი | 78 | 39 | 8 | 4 | 27 | 212:180 90 |
| ფინიქსი | 78 | 37 | 9 | 6 | 26 | 211:200 89 |
| ვანკუვერი | 79 | 39 | 7 | 3 | 30 | 243:207 88 |
| ედმონტონი | 79 | 36 | 12 | 4 | 27 | 198:178 88 |
| დალასი | 79 | 35 | 11 | 5 | 28 | 206:206 86 |
| კალგარი | 79 | 31 | 12 | 3 | 33 | 196:212 77 |
| მინესოტა | 79 | 26 | 11 | 9 | 33 | 188:223 72 |
| ანაჰაიმი | 80 | 29 | 8 | 3 | 40 | 174:194 69 |
| ნეშვილი | 79 | 28 | 13 | 0 | 38 | 188:216 69 |
| კოლუმბუსი | 79 | 21 | 8 | 5 | 45 | 156:244 55 |

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

ბომბარდირები: იგინლა (კალგარი) 94(51+43), ნესლუნდი (ვანკუვერი) 84(35+49), ბერტუცი (ვანკუვერი) 79(35+44), საკიკი (კოლორადო) 77(25+52), იაგრი (ვაშინგტონი) 76(31+45), ფრენსისი (კაროლინა) 76(26+50), ოუთსი (ფილადელფია) 76(13+63), შენაჰანი (დეტროიტი) 75(37+38), დემიტრა (სენტ ლუისი) 75(33+42), იაშინი (აილენდერსი) 75(32+43), სუნდინი (ტორონტო) 74(39+35), კოვალიოვი (პიტსბურგი) 74(30+44), კონროი (კალგარი) 74(26+48), მოდანო (დალასი) 73(34+39), ლინდროსი (რეინჯერსი) 72(36+36), ელისონი (ლოს ანჯელესი) 72(19+53)

# რუსი ისევ ჩამოგვეკიდა

**დასრულდა** ერთა თასის 2002 წლის გათამაშება და შეგვიძლია, 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ჩვენ ჯგუფზეც ვთქვათ. შარშანდელი და წლევანდელი ერთა თასის ჯამური მონაგრით საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. არადა, შარშან ბორჯღალოსნებმა ორივე მთავარი მეტოქე — რუმინეთი და რუსეთი მათსავე მოედნებზე დაამარცხეს და წლეულსაც პირველობის ერთობ ცხადი პერსპექტივა ესახებოდათ, მაგრამ...

ორწლიანი მონაგრით მოპოვებული მეორე ადგილი კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენებს მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე მეტოქეებად ირლანდია და, სავარაუდოდ, ისევ რუსეთი ეყოლებათ. სავარაუდოდ იმიტომ, რომ ერთა თასზე ხელმოცარული რუსეთი შესარჩევ ტურნირს მესამე ეტაპიდან დაიწყებს, სადაც სამგუნდიან ჯგუფში მის გარდა ჰოლანდიისა და ჩეხეთის ნაკრებები იქნებიან. რადგან რაგბი საკმაოდ ლოგიკური სახეობაა და სასწაულები ათასში ერთხელ ხდება, უთუოდ ჩრდილოელი მეზობლები ამოვლენ ჩვენს, A ჯგუფში და მსოფლიოს თასის საგზურს შეგვეცილებიან, რაკი ჯგუფში ირლანდია უკონკურენტო ბობოლაა. შესარჩევ ტურნირს საქართველოს ნაკრები შემოდგომაზე იწყებს და პირველ მატჩს ირლანდიასთან 28 სექტემბერს სტუმრად გამართავს. სავარაუდო მეტოქე რუსეთის ნაკრებს კი კვირის თავზე, 5 ოქტომბერს თბილისში დაუხვდება. მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ორი გუნდი გადის. მესამეადგილოსანი საგზურისთვის ბრძოლას არ ეთიშება და რეპეშაჟში ჩაებმება. ეს ერთგვარი სანუგეშო ეტაპია, რომელშიც ხუთი წლის წინ ბორჯღალოსნებმაც ითამაშეს. მაშინ ქართველებმა ოკეანეთის წარმომადგენელ ტონგასთან ორრაუნდიანი ბრძოლა დათმეს და მსოფლიოს თასზეც ტონგა გაემგზავრა.

**ბაჩო სვანიძე**



ბაჩანა კაკაბაძის ფოტო

ილო ზედგინიძეს შესაძლოა, რუსმა კიდევ დაჭაჩოს



# ამომდინარა

## შვილების ფული და მამის გული

**ეშტორილი. თიხნარი. საპრიზო 625 ათასი $**

**კაცები**

**კარლოს მოია (3, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:5, 6:4; სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 7:6 (7:2), 6:2; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 6:4; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 6:1, 6:4; ფიდირიკო ლუცი (იტალია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 5:7, 7:6 (7:5), 6:4**

**ქალები**

**დინარა საფინა (რუსეთი) — მარტინა სუხა (3, სლოვაკეთი) 6:3, 3:6, 6:1; პეტრა მანდულა (6, უნგრეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:4, 6:3; ელენა ბოვინა (რუსეთი) — ელენი დანილიდუ (8, საბერძნეთი) 6:4, 7:6 (7:5); ტინა პისნიკი (სლოვენია) — მარტინა მიულერი (5, გერმანია) 6:0, 4:6, 6:4; ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) — იანა კანდარი (გერმანია) 7:6 (7:3), 6:2**

გუშინ ეშტორილში რა მოხდა და, მარატ საფინის 15 წლის დაიკომ თავისი პირველი სა-WTA-ო შეხვედრა გამართა და სენსაციურადაც დაასრულა — ძმისდარად ზორბა გოგონამ სლოვაკი მარტინა სუხა გამოიჭირა და, მართალია, ერთი სეტი დაუთმო, მაგრამ დანარჩენ ორში ისეთი უბაგუნა, მარატის მოწონებული! მოკლედ, შთამბეჭდავად მოიგო და რამე. მისი ხაჩოგბურთო განვითარების მოწმეთ ეს ამბავი იმდენად არ გაკვირვებიათ — დინარა იუნიორებშიც მაგრად ჩაუქობდა და, სხვა თუ არაფერი, ნორჩთა შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტიც გახლავთ. წლეულს კი მას თავისკბილათა ორ ტურნირზე მარტოჩოგნად, ხოლო ერთზეც წყვილად გაიმარჯვებია.

ქალთა მხარეზე განთესილთა რბევა სხვა მატჩებშიც დაფიქსირდა. სახელდობრ — ტინა პისნიკმა მე-5 მარტინა მიულერი გააქცუნა, რუსმა ელენა ბოვინამ კი მე-8 ელენი დანილიდუს. ეს ის ბოვინაა, შარშანდელ ფინალში მხოლოდ ესპანელ ანხელეს მონტოლიოს რომ დაუთმო, იმ მონტოლიოს, ეს-ესაა, პორტუს ტურნირი რომ მოიგო და ამ ტურნირზე კი პირველ ჩოგანს რომ გააქნევს.

ეშტორილში მოგებული ქალის პირადი ბიუჯეტი 22 ათასი დოლარით გამდიდრდება.

ახლა კაცებს რაც შეეხება.

მათში ხელთ მესამე ჩოგანი უპყრია და პირველ წრეს უდრტვინველად გასცდა ესპანელი კარლოს მოია, ვისაც აქ 2000-შიც უხეირია და, ვინმეს თუ არ ახსოვს, წლეულს აკაპულკოს თიხისსაფრიანი ტურნირის გამარჯვებულიცაა. თუკი იგი აქაც მოიგებს, მაშინ სახარჯველად ზედმეტი 68 ათას 300 დოლარი გაუჩნდება — ფინალში უმჯობესისთვის ზუსტად ამდენია დაწესებული.

**ემელია აილენდი. ფლორიდა. თიხნარი საპრიზო 585 ათასი $**

**დანიელა ჰანტუჩოვა (9, სლოვაკეთი) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 7:5, 6:4; ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 7:6 (7:1), 6:3; ივა მაიოლი (ხორვატია) — ამანდა კუტცერი (11, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:1; ფრანჩესკა სკიავონე (16, იტალია) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 7:6 (7:5), 6:2; მარი პირსი (საფრანგეთი) — ვანესა ჰენკე (გერმანია) 6:2, 6:3; ჩანიტ შუსაროვა (სლოვაკეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:1, 6:3; პატი შნიდერი (შვეიცარია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1, 6:0; ანი კრემერი (ლუქსემბურგი) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 5:7, 6:4, 6:3; ალისია მოლიკი (ავსტრალია) — აი სუგიამა (იაპონია) 6:2, 6:2; ნატალი დეში (საფრანგეთი) — მარისა ირვინი (აშშ) 7:5, 6:4**

18 წლის სლოვაკმა დანიელა ჰანტუჩოვამ, ვინაც სახელი წლეულს ინდიან უელსის ბობოლა ტურნირზე გამარჯვებით გაითქვა, თავისზე სამი წლით უფროსი დომინიკოვიჩის ძლევას ჯამში 70 წუთი მოანდომა. ახლა დანიელა მერვე ნომრად განთესილ დეიდა არანჩა სანჩეს-ვიკარიოს შეხვდება.

ორგზის მესლემტიტულემ და ემელიას თიხნარზე 1998-ში გალაღებულმა მარი პირსმა, ვინაც ეს-ესაა, ტრავმა მოირჩინა, უსახელო გერმანელი მეტოქე გზიდან უპრობლემოდ ჩამოიცილა.

სხვა შეხვედრებიდან გამოსარჩევია ვეტერანი ხორვატი ქალის, ივა მაიოლის მიერ მე-11 ნომრად განთესილი ამანდა კუტცერის გაიმასქნება. სამხრეთაფრიკელმა 25 უნებლიე შეცდომა დაუშვა, მხოლოდ 11 მომგები ბურთი ჩააგდო და ასპარეზსაც დამსახურებულად ჩამოშორდა.

ტურნირს პირველ ნომრად ეწვია და მეორე წრეში თვისტომ ემი ფრეზერს შეეხლება ვინუს უილიამსი. მის მსგავსად პირველ წრეში ჭიდაობისგან განთავისუფლებულები არიან ბელგიელი ჟუსტინ ენენი (2), იუგოგო ელენა დოკიჩი (3), რომელმაც გასულ უქმეებზე სარასოტას მწვანე თიხნარზე იმარჯვა და ფრანგი ამელი მორესმო (4), რომელიც, სხვათა შორის, შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას ეცდება.

ეშტორილში ვერ გამოვა აქ ორჯერ ნახეირები მონიკა სელეში — მას მარჯვენა ფეხის უცაბედი ტრავმა მიუია.

სხვაფრივ — SANEX WTA ტურმა სერენა უილიამსი მარტის საუკეთესო ქალ მეჩოგნედ აღიარა და ეს არც არავის შეუცხადებია. უმცროსმა უილიამსმა სეზონი სწორედ მარტში დაიწყო და ჯერ სკოტსდეილის ტურნირზე გაიხარა, სადაც ბოლო შეხვედრებში მარტინა ჰინგისსა და ჯენიფერ კაპრიატის მოერია, მერე კი კი ბისკეინს გადაურა, სადაც უკანასკნელ სამ მატჩში მიჯრით სძლია ჰინგისს, ვინუსსა და კაპრიატის. ეს მისი მე-12-მე-13 საკარიერო ტიტულები იყო და სერენამ ისინი ისე დასტურ მიითვალა, რომ მტრისას და მარტისას!

და კიდევ — ზედ ამ ფლორიდული ტურნირის წინ შავდების მამა რიჩარდმა აი, ეგეთი უცნაური განცხადება გააკეთა: აქაოდა, ვინუსი რაც უფრო მალე დაანებებს ჩოგბურთს თავს, მით უკეთესი იქნებაო, ხოლო სერენა ჩოგანზე მეტად წიგნებს თუ მიხედავს, ვინძლო უფრო უკეთესი იყოსო.

მოკლედ, გაუტია, რა.

**ლევან ძილაძრაძე**



სერენას და ვინუსს მამა უილიამსმა, წიგნი გადმოშალეთ, ეგრე აჯობებსო



დინარა საფინა, და მარატისა



# დრომ გრიშჩუკი დაამარცხა

## საწყალ საათს რუსის ზარაბანზე მეტი მოხვდა

**დიუბაიში** მსოფლიოს თასი შოკური თერაპიით დამთავრდა. ფინალურ მატჩში უნგრულმა პეტერ ლეკომ და რუსმა ალექსანდრ გრიშჩუკმა ითამაშეს. ორმა ახალგაზრდამ სწრაფი ჭადრაკის პარტიები მშვიდობით განასრულა. ჯერ გრიშჩუკის თეთრებმა მხოლოდ 18 სვლა იომეს ლეკოს სიცილიური დაცვის წინააღმდეგ და ყაიმი ითხოვეს, მერე ვერც ლეკომ გაარღვია გრიშჩუკის ესპანური დაცვის კედელი. ყაიმი იყო ტაიბრეიკებშიც და ყველაფერი „უეცარი სიკვდილის" ბლიცში გადაწყდა, სადაც თეთრებს ფიქრისთვის წუთით მეტი აქვთ, მაგრამ პარტია უსიკვდილოდ უნდა მოიგონ.

76 სვლა გაკეთდა და სუფთა ჭადრაკის თვალთახედვით სიტუაცია სრულიად საყაიმო იყო, საქმეში საათი ჩაერთო. მთელი პარტიის მანძილზე მოჭადრაკეები ჩინებულ რეაქციას ამჟღავნებდნენ და სპრინტერულად უპარტყუნებდნენ გადამრთველს. რადგან რეგლამენტი დროში უფრო რუსის ყმაწვილს ზღუდავდა, ალამი მასვე ჩამოუვარდა, როცა ლეკოს 2 წამი კიდევ დარჩენოდა. უნგრელმა თასის პირველი ეტაპი მოიგო. მესამე ადგილზე ალექსეი შიროვი გავიდა, მეხუთეზე — ანატოლი კარპოვი, რომელმაც ზურაბ აზმაიფარაშვილს მოუგო.

მსოფლიოს ექსჩემპიონისა და საქართველოს მოწინავე მოჭადრაკის მატჩში სწრაფმა ჭადრაკმა იკმარა. პირველ პარტიაში აზმაიფარაშვილმა თეთრი ფერი ვერ გამოიყენა. ცენტრში გაცვლითი განმუხტვის შემდეგ ლაზიერის ფრთის კიდურა თეთრმა პაიკმა საეჭვოდ შეუტია და დაიღუპა. კარპოვმა ზედმეტპაიკიანი ეტლების ენდშპილი მიიღო, 52-ე სვლაზე სულაც 2 პაიკით დაწინაურდა და საქმის ტექნიკური მხარე იოლად მოაგვარა.

მეორე პარტიაში დაფაზე მხოლოდ ეტლები და პაიკები რომ დარჩნენ, ყაიმი გაფორმდა. მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში აზმაიფარაშვილი მე-6 პოზიციაზე განთავსდა.

**დავით გულუა**

**მე-6 რაუნდი**

**პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 3-2; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) 2,5-1,5; ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) 1,5-0,5; ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) 1,5-0,5; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) 2-0; ალექსეი დრეევი (რუსეთი) — თეიმურ რაჯაბოვი 1,5-0,5; ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) — ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 1,5-0,5; ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — ჩენ ფუ (ჩინეთი) 2-0**



# როსი იწყებს და იგებს. ათწლეულს!

**ტრადიციულად,** იაპონიის დიდი პრიზით დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი მოტორბოლაში. შეჯიბრებას, ცხადია, „სუზუკა" მასპინძლობდა, თუმცა-ღა, მასპინძელი, სიმართლე უნდა ითქვას, მაინცდამაინც სტუმართმოყვარე ვერ გამოდგა. ცნობილია, რომ წვიმას მოტორბოლებში, ავტორბოლებისგან განსხვავებით, იმგვარი კორექტივები შეაქვს შეჯიბრებაში, რომ გამარჯვებულის გამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია. შეუძლებელია ფავორიტების დასახელებაც კი. ეს ყველაფერი სრულად ეხება ყველას და ყველაფერს, ერთი გამონაკლისის გარდა — მისი სახელია ვალენტინო როსი. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ყველაზე პრესტიჟულ, 500 კუბ/სმ ძრავიანი მოტოციკლებით ასპარეზობაში სეზონის პირველი დიდი ჯილდოს მოგებით არაორაზროვანი განაცხადი გააკეთა ჩემპიონატის სავარაუდო შედეგის თვალსაზრისით. ყველა სპეციალისტის აზრით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 23 წლის იტალიელმა სულ იოლად უნდა მოიგოს მეოთხე ტიტულიც! და საერთოდ, ეჭვი არავის ეპარება, რომ 21-ე საუკუნის პირველი ათწლეული მოტორბოლებში ვალენტინოს ნიშნით წარიმართება.

კლას 125-ში გაიმარჯვა ფრანგმა არნო ვინსენტმა (აპრილია). მეორე იყო იტალიელი მირკო ჯიანსანტი (ჰონდა), მესამე მანუელ პოჯიალი (სან მარინო, ჯილერა).

კლას 250-ში პირველი იყო იაპონელი ოსამუ მიუზაკი (იამაჰა), მეორე — დაისაკუ საკაი (იაპონია, ჰონდა), მესამე — რანდი დე პუნიე (საფრანგეთი, აპრილია).

**ირაკლი ბერიაშვილი**





ვალენტინო როსი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# აი, რამხელა

სამხრეთკორეელი ბიჭუნა უშველებელ საფეხბურთო წუღას შემოჯდომია სხეულის მაღაზიაში. ცხადია, ეს ვეება წუღა საგანგებოდ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დაუმზადებიათ კორეელ დიზაინერებს. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე კი თვენახევარზე ცოტა მეტი დარჩა.






## დიკის ნატყორცნი

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ტეხასშია და ბეისბოლის ბურთისთვისაც მოუკიდია ხელი, „ტექსას რეინჯერსისა“ და „ანაჰაიმ ანჯელზის“ მატჩი გაუხსნია სიმბოლური ტყორცნით. ეს არლინგტონის სტადიონზე მომხდარა.

## შანსი

რიკარდო ტავარელი, მეტსახელად მონო, ანუ მაიმუნი, მაიმუნითვე ხელში შეგვახსენებს, რომ პარაგვაის ნაკრების სათადარიგო მეკარე კია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში სამხრეთ აფრიკელთა წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში იქნება. ტავარელის კერპი და პარაგვაელთა მთავარი კაცი ხოსე ლუის ჩილავერტი დისკვალიფიცირებულია შესარჩევ მატჩში რობერტო კარლოსთან ჩხუბისა და ფურთხებისთვის.






## ანაბეჭდები

ჰოლივუდის ტრადიცია გადამდებია. ფლორიდაში, ლეიქ ბუენავისტაში, სადაც დისნეილენდია და სადაც დისნეისა და ემჯიემის სტუდიებს უდევთ ბინა, ხელისა და ციგურების ანაბეჭდს ტოვებს განთქმული ამერიკელი მოციგურავე მიშელ კვანი, რომელიც სამხრეთში ყინულის შოუს გასტროლებზეა.



## ტყუილად მივიდა

სულ ტყუილად მისულა ალგარვეს გოლფის ტურნირის საცქერლად პორტუგალიის პრეზიდენტი ჟორჟე სამპაიო (შუაში). თავსხმა წვიმასა და ძლიერ ქარს, ფარუს მიდამოებში რომ გაბატონდა, იმ დღის შეჯიბრი ჩაუშლია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge